



იმისთანა წმინდა საცმეში, ბოგბიღ ბეჭე-
უძი სიფყავა, ცყდილებით და ჭბბბბით ბუბ-
თის გაცანა ყველა უკადრისბბბაგე უსბბბაგლისა.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ორშაბათი-სამშაბათი, 21-22 ივნისი. 2021 წ. №135-136 (9254-9255)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 1 ლარი

გამჟღავნებული ღალატის ანატომია




...თებერვალში
ჩვენ სასწრაფოდ
შეველით ირაბ-
ლი ღარიბაშვი-
ლის პრემიერად
ღანიშვნა. ამით
ჩავშალეთ ბახა-
რიას ჩანაწიქრი,
რომ მისი ბაღაღ-
ბომის შედეგ უმ-
თავრობოდ ღარ-
ჩენილი ხელისუფ-
ლება ვერ შეე-
ლება ეფექტურ
მოქმედებას“...

ამბავი გიორგი ბახარიას ორგულობისა და ლავრენტი ბერიას წყვილი ნიფხვისა...

საქართველოს პატრიარქი:

ღმერთი ამპარტაშენებს შეშუსრავს, თავდაბალით - მაღლს მიანიჭებს!

სულთმოფენობის დღესას-
წაულთან დაკავშირებით, სამე-
ბის საკათედრო ტაძარში წირ-
ვა აღევლინა. პატრიარქმა
მრევლს დღესასწაული მიულო-
ცა და დალოცა.



„გილოცავთ უფლის დღესასწა-
ულს, გილოცავთ სულიწმინდის
მოფენას მოციქულებზე. ღმერთი
ამპარტაშენთა შეშუსრავს, ხოლო
თავმდაბალთა მიანიჭებს მაღლსა.
ღმერთმა ინებოს, რომ უზვად გად-
მოვიდეს მაღლი სულია წმინდისა.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ გაგამრავლოთ, თქვენნი
შვილებით და შვილთაშვილებით.
დალოცვილები იყავით. ჩვენთან არს ღმერთი!“

დაპირისპირება აჭარის მთავრობის სახლთან!

აჭარის მთავრობის სახლთან აქციაზე გუშინ დაპირისპირება
მობდა. დაკავებულია რამდენიმე პირი, მათ შორის „ნაციონალური
მოძრაობის“ წევრი ბონდო თედორაძე.


მიზეზი აქციის მოწვევების გადანაცვლებზეა გახდა, ისი-
ნი აჭარის მთავრობის სახლის წინ კარავების გაშლას აპირებ-
დნენ. პოლიციამ განუმარტა, რომ კარავების გაშლის უფლე-
ბას არ მისცემენ. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო დაპირისპი-
რება. აქციას ბრალდებული ძმების
- ნულუკიძეების, ჭელიძეები-
სა და ელდარ ანთაძის ახლობლები
მართავენ. ბრალდებულებს გა-
მოძიება ჯგუფური ძალადობის
ორგანიზებისა და მასში მონაწი-
ლეობას ედავება. ისინი რიონის ხე-
ობის დაცვის აქციის დროს მომხ-
დარი ინციდენტის გამო დააკავეს.



აფხაზური სოფელი აიბლა რუსეთის ② ნაწილად გაფორმდა!



ქსნის ერისთავთა სასახლის ოკუპაცია! ⑦




სენსაციური სიხალე: ფულის გაუღუ- ფება! ⑤



განას იღავითა! ⑩

საუკუნეთა
სიღრმიდან



ნატო ვარნაძე, ტრავიკულ დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე,
სტუმრად ყოფილა პერნედელკინოში. მოულოდნელად პასტერნაკს
შეუწყვეტია დამსწრეთა რესპეკტაბელური მუსაიფი და ქალბა-
ტონ ნატოსათვის
პათეტიკურად მი-
უ მ ა რ თ ა ვ ს :
„თქვენი მშვენიე-
ბა იწვევს სურ-
ვილს, რომ და-
ვიჩოქოთ!“... უთ-
ქვამს და მყისვე
შეუსრულებია
მისთვის ესოდენ
ბუნებრივი, გუ-
ლიდან მოვარდ-
ნილი განზრახვა.



⑥

მრ-
მკომ

ლაშა ხუსიშვილი: ზღაპრები და სისრუის ახალი „შურნა-ლისტური“ სტანდარტი...



ფინანსთა მინისტრი, ლაშა ხუსიშვილი, FACEBOOK-ის საკუთარ გვერდზე, ერთ-ერთი ტელევიზიის მიერ, თავისი ქონების შესახებ მომსახურებით სიუჟეტით გავრცელებული დეზინფორმაციის შესახებ.

„არ ვიცი, რამდენად არის მაღალი საჯარო ინტერესი ჩემ შესახებ ერთ-ერთ ტელეარხზე გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, მაგრამ თავს ვალდებული ვიგრძნობ, პასუხი გავცე იმ სიტრუეს რომლის ტირაჟირებაც ხდება უსივრცელოდ:

ტყუილი №1:

თითქოს, ვფლობ რამდენიმე ძვირადღირებულ ბინას, რომლებიც გაფორმებულია სხვის სახელზე. ერთი ბინა, რომელიც ნაჩვენებია სიუჟეტში, ეკუთვნის მშობლებს, რომელიც შექმნილია 2005 წლამდე, მაშინ, როდესაც ვიყავი სტუდენტი. ცხადია, სტუდენტობის დროს, მე ვერ შევიძინე ბინას და ვერ გავაფორმედი სხვის სახელზე. მეორე ბინა, რომელიც ასევე ნაჩვენებია სიუჟეტში, არის ჩემი ძმის მფლობელობაში (შექმნილი ჩემი მინისტრად დაინიშნამდე 6-7 წლით ადრე), სადაც ის ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად და ცხადია, ყველასთვის ცნობილია ეს ფაქტი, გარდა — „მთავარი არხისა“.

ტყუილი №2:

თითქოს, ქონებრივ დეკლარაციაში არ ხდება ინფორმაციის სრულყოფილად მითითება. არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნით, გასულ წლებში არაერთხელ მომხდარა ქონებრივ დეკლარაციის დეტალური შესწავლა ფინანსთა მინისტრის მოადგილეებისა და მათ შორის — ჩემი დეკლარაციისა. შესწავლის შედეგად, არანაირი დარღვევა არ გამოვლენილა. ასევე, არ გამოვლენილა არანაირი ინფორმაციის წარდგენის ფაქტი.

ტყუილი №3:

თითქოს ჩემი მამა ამჟამად იკავებს რამე თანამდებობას ფონდ „ქართუში“, რაც არის ტყუილი. ამჟამად, მას არანაირი შესება არ აქვს ფონდ „ქართუსთან“.

ტყუილი №4:

თითქოს, ჩემს თანამდებობას რამენაირად უკავშირდება ჩემი ძმისა და მისი მეუღლის დასაქმება. ჩემი ძმა ამჟამინდელ თანამდებობაზე უცვლელად მუშაობს უკვე ბოლო 8 წლის განმავლობაში, კერძო კომპანიაში და ჩემი ძმის მეუღლე ნამდვილად მუშაობს სამხარაულის ბიუროში ბოლო 10 წლის განმავლობაში (ექსპერტის თანამდებობაზე უცვლელად), იმ დროიდან, როდესაც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყო „ნაციონალური მოძრაობა“.

ტყუილი №5:

სიუჟეტში ასევე ნაჩვენებია ბინები, რომლებსაც არანაირი შესება არ აქვს ჩემს ოჯახთან და მხოლოდ მაცურებლის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად. ალბათ ყველა უნდა ვიცნობდეთ ჩვენს „გმირებს“, რომლებმაც ეს ზღაპრები შეთხერხეს და რომლებმაც ახალი „ჟურნალისტიკური“ სტანდარტი დადეს. „მთავარი არხის“ არც ერთი ჟურნალისტი არ დამკავშირებია კომენტარის გასაცემებლად — აქ მოყვანილ ბოლოდღებთან დაკავშირებით, რაც ასევე „ახალი სიტყვა“ ჟურნალისტიკის ისტორიაში“.

აფხაზური სოფელი აიბლა რუსეთის ნაწილად გამოცხადდა!

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ (DRI) ინფორმაციით რუსეთის ფედერაციამ 2021 წლის მაისში ოკუპირებული აფხაზეთის შემადგენლობაში შემავალი სოფელი აიბლას ანექსირება ფაქტობრივად კონტროლის მიღება ამჯერად ოფიციალურად გაიფორმა.

მისი ცნობით, ეს პატარა სოფელი მონიშნულია კრასნოდარის ოლქის ადღერის რაიონის ნაწილად, უფრო კონკრეტულად კი, ქვემო შილოვკის თემში შემავალ ერთ-ერთ სოფლად.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, სოფელი აიბლას ზედამხედველობა რუსეთის კრასნოდარის ოლქის გამგებელს დაევალა, რითაც შეიძლება, ითქვას, რომ ოკუპირებული აფხაზეთის რაღაც ნაწილი რუსეთის შემადგენელი ნაწილად გამოცხადდა.

DRI-ს ინფორმაციით, აიბლას ანექსირების სურვილი რუსეთმა პირველად 2001 წელს, იმჟამინდელ დე ფაქტო პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბასთან გააჟღერა. რადგან იმ დროს რუსეთს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარებული არ ჰქონდა და ამ თემის განხილვა ქართულ მხარესთან მოუწევდათ, საკითხი დროებით შეჩერდა. სიტუაცია რადიკალურად 2008 წელს შეიცვალა, როდესაც რუსეთმა ოკუპირებული აფხაზეთი აღიარა და მასთან დე ფაქტო სახელმწიფო საზღვრის „დელიმიტაცია და დემარკაცია“ მოითხოვა. საინფორმაციო ნიადაგის მომზადება 2010 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. რუსულმა მხარემ გაააქტიურა სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების გამოცემა, კონფერენციების ჩატარება სოხუმში, სადაც „კვლევებით“ ამტკიცებდნენ, რომ სოფელი აიბლა კრასნოდარის ოლქის ნაწილი იყო. ამის საპასუხოდ და შეესაბამებოდა ანექსიის პრევენციისთვის, 2010 წლის 21 მაისს დე ფაქტო პარლამენტმა მიიღო კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შესახებ“, სადაც აღნიშნული იყო, რომ „სახელმწიფო საზღვარი აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის გადის სსრკ-ში აღიარებული საზღვრების პერიმეტრზე.“ ამით სოფელი აიბლა რჩებოდა ოკუპირებული აფხაზეთის შემადგენლობაში. 2010 წელს აფხაზეთმა რუსეთის შეთავაზებაზე, სოფელი დაეთმო, კატეგორიული უარი თქვეს, თუმცა რუსეთმა პროცესი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის დროს განაახლა. ოკუპირებულ აფხაზეთს შესთავაზეს შეჯიბრებების ნაწილის აიბლაში ჩატარება, სპორტულ ღონისძიებებში სოფლის ჩართვა, თუმცა აფხაზეთმა მხარემ ეს შეთავაზებაც უარყო.



ამ დღის წესრიგში დააყენა. **მაშინ პუტინმა საპიტონის საპარტიო ნაწილად გადაწყვიტა პირობა დადო.** სოხუმის უნივერსიტეტში სიტყვით გამოხატვისას დე ფაქტო პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელმა ასტამურ ლოგუამ 2021 წლის 19 მაისს განაცხადა, რომ რუსულ მხარესთან საკითხის მოსაგვარებლად მუშაობენ. თუმცა, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, ოფიციალურ განცხადებებს მიღმა, აფხაზეთი თვლიან, რომ აიბლა დაკარგულია.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, რეგიონში მცხოვრები ეთნიკური რუსები და საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები, რომლებიც ამჟამად გალში იმყოფებიან, არაფორმალურ საუბრებში ხაზს უსვამენ, რომ მათი ინტერესი უფრო დიდია — სურთ სრულად შეიერთონ აიბლას პლატო, რომელიც მდინარე ფსოუს სათავიდან რინის ტბამდე და ავადპარამდე ტერიტორიას მოიცავს. საუბარია გაგრის მუნიციპალიტეტის დაახლოებით 20 პროცენტზე. როგორც ირკვევა, ამ ტერიტორიის მიმართ რუსული მხარის მიზანმიმართულ ინტერესს, სტრატეგიული მნიშვნელობის სიმბოლოების გარდა, ამ პერიმეტრზე სასარგებლო წიაღისეულის დიდი მარაგების არსებობაც განაპირობებს.

პოლიტიკური ველზე ლევან ვასაძის გამოჩენას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „კომპლავის“ თემაში მისი ერთ დროს ზანიტში მყოფი რეაუტაცია ასე თუ ისე დაზარალდა, ვასაძე ქონსერვატიული ფლანგზე დღესაც ანგარიშგასასწავლ აერსონად გამოიყურება! მიმართა, რომ რაც მეტი კონსერვატიულად მოაზროვნე პერსონები გაერთიანდებიან საერთო იდეის გარშემო, მით უფრო დასუსტდება ულტრაიბერალური ფრთა, რომელთა მიზანი იდენტობის წინააღმდეგ ბრძოლა და ტრადიციული ფასეულობების ნიველირებაა. თუ რეალურად შევავალსებთ, ულტრაიბერალურებს ჯერ არ ჰყავთ საპირსონე კონსერვატიული ფლანგის სახით, სადაც საზოგადოების ჯანსაღად მოაზროვნე (ტრადიციების ერთგული) ნაწილი გაერთიანდება და საერთო

ვის ეგუებრება ლევან ვასაძე?!

ძალეებით გაუმკლავდება გააფთრებულ ულტრაიბერალურებს. მიუხედავად იმისა, რომ ლევან ვასაძეს პოლიტიკური პარტია ოფიციალურად ჯერ არ დაურეგისტრირებია, აშკარაა, რომ მისი კონტურები უკვე გამოკვეთილია — საზოგადოებრივი მოძრაობა „ერი“ (ერთობა, რაობა, იმედი) მალე პოლიტიკურ სტრუქტურად ჩამოყალიბდება და კარს მომდგარ თვითმმართველობის არჩევნებზე საკუთარ ძალებსაც მოსინჯავს! ეს რომ ასეა, თავად ვასაძესაც არ დაუმაღავს სახელდახელო ბრიფინგში, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად სასტუმრო „მერიტში“ გამართა.

საკრიტიკოდ არა, მაგრამ, გულწრფელი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ბრიფინგმა უკმაყოფილების გრძობა დამიტოვა. ამჯერად ბრიფინგის ზოგად შეფასებას არ შევუდგები (ვასაძე რიტორიკით ისევე ფორმალურია, თუმცა, მინდა ყურადღება გავამახვილო რამდენიმე ნიუანსზე: 1. რატომ აგვიანებს ლევან ვასაძე საკუთარი გუნდის წარდგენას, რასაც ის 16 მაისს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ერის“ პრეზენტაციაზე დაპირდა საზოგადოებას. ნამდვილად საინტერესოა, რა ინტელექტუალური რესურსით აპირებს იგი პოლიტიკურ თა-



მაშინ აქტიურად ჩაბმას და რამდენად ანგარიშგასწავლი ძალა იქნება მისი გუნდი პოლიტიკურ რინგზე? 2. რატომ ამბობს უარს კონსერვატიული ძალების მიერ დაგეგმილი აქციის ორგანიზატორის ამპლუაზე, ივლისის პირველ რიცხვებში დაანონსებული ლგბტ-ს კვირეულის წინ, მაშინ, როცა სწორედ ვასაძე მოიაზრება ტრადიციული ფასეულობების აქტიურ მხარდამჭერად.

ამის დასტურად თუნდაც მისი ხელმძღვანელობით საქართველოში ჩატარებული მსოფლიო საოჯახო კონგრესი კმარა, რომ არაფერი ვთქვათ ღია განცხადებებზე: იგი არ დაუშვებს ლგბტ პრაიდის ჩატარებას მართლმადიდებელ ქვეყანაში! რას ნიშნავს მისგან ხელისუფლებისთვის მიცემული 10-დღიანი

ამბაპი გიორგი გახარის ორგულოვისა და ლაპრენტი ბერიას წყვილი ნიფსვისა...



...,,თებერვალში ჩვენ სასწრაფოდ შევეკლით ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერად ღანიშვანა. ამით ჩავვაღლით გახარისა ჩანაწერი, რომ მისი გადადგომის შემდეგ უმთავროვოდ ღარიბაშვილი ხელისუფლება ვერ შეეკლია ვეჭვებს...“

ბასული კვირის სულის ამფორიკაქებული ინტერვიუების ნიღვარმა ქვეყანა შეძრა. პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ დაარღვია წლოვით დამკვიდრებული „ტაბუ“ და ოპოზიციურ ტელეკომპანიებს ინტერვიუები მისცა, რამაც, ცოტა არ იყოს, გააოგნა, ჩააფიქრა და საჭიროად განაწყო ქვეყანა.

„ტვ პირველში“, გაბუნიასთან და გრიგოლისთან, შოკი გაშიშვლია. ინტერვიუების თემა, ანუ შინაარსი „ქართული ოცნებაში“ მიმდინარე მოვლენები იყო, კერძოდ კი პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარისა შეცვლასთან დაკავშირებული. ირაკლი კობახიძემ სულ წვერილად ილაპარაკა, რომ მიუხედავად გახარისა მიმართ საყოველთაო ხოტბისა, თურმე პარტიას ადრეც ჰქონდა მასზე რაღაც „კომპრომატები“.

ულტიმატუმი – არ დაუშვას ლგბტ-ს კვირეულის ჩატარება დედაქალაქში, თორემ... სამწუხაროდ, არ აკონკრეტებს, რა მოვლის ხელი-სუფლებას, თუ ულტიმატუმს არ შეასრულებს და ლგბტ-ს კვირეული თბილისში მაინც ჩატარდება პრაიდალუმის ფინალით? ვასაძე, ასევე, არ განმარტავს, რამდენად საშიშია თვითორგანიზებით შეკრებილი მასა, რამდენად მოსალოდნელია უსისტემო (ქოტურმა) მოქმედებამ აშკარა სამოქალაქო დაპირისპირებაზე მიიყვანოს ქვეყანა(!). არადა, ბოლო 30-წლიანმა საქართველოს ისტორიამ ხომ ნათლად დაგვანახა, თუ როგორი ტრაგიკული შედეგების მოტანა შეუძლია მწვავე პროცესების თვითდინებაზე მიშვებას!

პრომისების (ლაგირების) ხელოვნებაა, მაგრამ, თუ პოლიტიკოსი საკუთარ პოზიციებში თანმიმდევრული არ არის, მისდამი ნდობის ვოტუმიც შაგრენის ტყავივით მცირდება! 3. მივესალმები მის საკანონმდებლო ინიციატივას, ცილისწამებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, მაგრამ ამ ხელისუფლების პირობებში, ვეჭვობ, ინიციატივას მხდაჭერა მოუყვებს! საქმე იმაშია, რომ ცილისწამება, ანტიდამიანური (მასონური) ძალების ხელში ყველაზე ეფექტიანი იარაღია სამყაროს დანარჩენი ნაწილის დასათრგუნად (გასანეიტრალებლად), მათი ფორმულაა: მე ცილს დაგნამებ, შენ თავი იმართლე! საკმაოდ მუშაობს - ანგ-

რეც ადამიანთა ფსიქიკას, მეტიც, ანადგურებს კიდევ! ამდენად, ეს ინიციატივა უპერსპექტივოდ მეჩვენება! და ბოლოს, ჩემი მიზანი არ არის ლევან ვასაძეს კრიტიკაში ჩაუვადგე! – ამდენად, მხოლოდ „მოყვარეს პირში უძრახე“ პრინციპით ვხელმძღვანელობ. უდავოა ისიც, რომ ჩვენ დღეს არა რიტორიკა, არამედ, თანმიმდევრული, თავგანწირულად ადამიანთა არმია გვჭირდება, რომ სისხლმონყურებული ულტრა-ლიბერალური ფრთა მეტნაკლებად დაბალანსდეს!



ზაურ ნატყვიშვილი

P.S. გეიბლუმში არ უნდა ჩატარდეს, მაგრამ არა ქოტური ორგანიზება, არამედ, გათვლილ-გააზრებული მოქმედება საჭირო, რომ ეს ბოროტება თავიდან ავიცილოთ. ძალა მართალ და თანმიმდევრულ ადამიანთა ერთობაშია! **ზ. ნ.**

ყოვობა აღარც გახსენებია. ჩვენ კი არ ვუსვენებდით, იმ ორ კვირას რომ იხვეწებოდი, რაში უნდა გამოგეყენებინა, დისერტაცია უნდა დაგემთავრებინა თუ რომანიო. არასოდეს პასუხი არ გაუცია, ეგ მე ვიცო, ჩაიცივნებდა ხოლმე. ერთი სიტყვით, იმ ნათხოვარ 2-3 დღეზე აქამდე გონივრული პასუხი არავის გაუცია, მით უფრო არც გახარისა და არც კობახიძეს. ასე რომ, არის ბრალდება, მაგრამ არ არის მისი ასხნა. ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთი ეჭვი გაუშვია ჟურნალისტს: 2019 წლის 20 ივნისს, პარლამენტის მოიერიშეთა დაშლის ოპერაცია შეცდომებით ჩატარდაო, კერძოდ: რატომ იდგნენ სპეცრაზმელები რკინის ჯვებრების გარეთ, მაშინ, როცა მათი შიგნით დგომა უფრო უსაფრთხო და ეფექტური იქნებოდა. იმის ალბათობაც ნაკლები იყო, რომ მოიერიშეები ჯვებრებს გადალახავდნენო; რატომ თავის დროზე, უფრო ადრე არ გამოიყენეს წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები ხალხის დასაშლელად, რათა თავიდან აგვეცილებინა შემდეგდროინდელი შედეგებიო. მოკლედ, შსს მინისტრ გიორგი გახარისა და მისი მოადგილის საბანაძის დაგეგმილი ოპერაცია შეცდომით წარიმართაო. აქ გიორგი გაბუნია ლოგიკურად კითხვა დასვა, ეს ამბავი რის ეჭვს გიჩენთ, დანაშაული სასო?

ლით მოკლა შვილი. უზარმაზარი იმპერიის – საბჭოთა კავშირის მეორე კაცს ლავრენტი ბერიას საბჭოთა ტრადიციის შესაბამისად სამშობლოს ღალატი დასწამეს. ასეთ საშინელ ბრალდებას ფარატინა საბუთი არ ასლდა: საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტიო. რაკი დაქირავებული იყო, რასაკვირველია შესაბამისი ანაზღაურებაც უნდა მიეღო. საინტერესოა, რამდენი? რამდენს უხდიდა საერთაშორისო იმპერიალიზმი ამ ბუმბურაში თანამდებობის და გაგლეხის მქონე კაცს? არადა, დაპატიმრებულს წყვილი ნიფსვის მეტი ვერაფერი უპოვეს. თანაც, თვით „საერთაშორისო იმპერიალიზმმა“ ხომ იცოდა, რომ ბრალდება ყინულზე იყო დაწერილი! ამიტომ შემდეგ, თანდათან ეს იდიოტური „საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტიო“ მოუხსნეს, თუმცა, სტევა არანაკლებ იდიოტური ბრალდებები დაუტოვეს. ამდენად, გახარისა ღალატი დასაზუსტებელია. თუ სამშობლოს ღალატზეა ლაპარაკი, ძალზე ძნელი დასამტკიცებელია. უძნელესი! აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონი მანამდე დედაკარგა. გარეჯი? არც აქ ჩანს მისი ხელი. თუ პარტიის ღალატზე მიაწინებენ, ეს მართლაც შესაძლებელია, ოღონდ, ამ პარტიებიდან პარტიებში ვირთხევივით განუწყვეტელ გადარბენ-გადმორბენის ეპოქაში ამისთვის კაცი საგანგებოდ როდი უნდა დაიშნოს. პარტიის ღალატი თვით იმ პარტიისთვის არის ტრაგედია, თორემ შალვა ნათელაშვილი ან ბაჩუკი ქარდავას სულ ქინძე ჰკიდათ. მომდევნო კითხვები ეხებოდა იმას, თუ სამართალდამცველები აქამდე რატომ არ იწყებენ გახარისა ღალატის გასამოძიებას? – ეს სამართალდამცველთა გადასაწყვეტია, ისინი უნდა შეთანხმდნენ, დაიწყონ თუ არა. – არის ხმები, რომ გადატრიალებას აფინანსებდა ნაცების ყოფილი მაღალჩინოსანი დავით კეხერაშვილი. – ამაზე დაზუსტებით არაფერი შემიძლია გითხრათ. – რატომ ჩაანაცვლეთ გახარია ღარიბაშვილით? – ღარიბაშვილი ენდობა „ქართული ოცნებას“. იგი ნიჭიერი კაცია. თუმცა, გახარისაზე გუნდის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, იმდენი არცერთ სხვა პრემიერს არ ჰქონია. – გახარისამ განაცხადა, რომ ვადამდელი არჩევნები მაინც ჩატარდება, ადგილობრივ არჩევნებში ოცნებამ რომც გაიმარჯვოსო. ის ფიქრობს, რომ 43%-ის ალბის შედეგაც პრობლემები ექნება თქვენს პარტიას. – აღდგომა და ხვალაო, – დაახლოებით ასეთი იყო ამ კითხვაზე კობახიძის პასუხი, – როგორც ირკვევა, გიორგი გახარისა კავშირი აქვს სააკაშვილთან. ნიკას დაჭერამდე 2-3 დღეს იმიტომ ითხოვდა, რომ სააკაშვილს სარფიდან შემოსვლა მოეწონო. ჩვენთვის ძალიან მწარეა, რომ პრემიერმა ჩაიდინა ღალატი გუნდის, ხელისუფლების, სახელმწიფოს. დაბოლოს, ჩვენთვის პრობლემა არ არის ადგილობრივ არჩევნებში 43%-ის მიღწევა. აი, ასეთი შინაარსისა იყო ირაკლი კობახიძის ინტერვიუები. მართლაც, აღდგომა და ხვალაო! **ალექო ასლანიშვილი**

სერჟ სარგსიანი: სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები უნდა განვითარდეს



სერჟ სარგსიანი – სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები უნდა განვითარდეს, – ამის შესახებ, სომხეთის მესამე პრეზიდენტმა...

სარგსიანის განცხადებით, სომხეთმა ეს უნდა გააცნობიეროს და საქართველოსთან ურთიერთობები განავითაროს...

ირაკლი ქადაგიშვილი: მოსამართლეებს საპარლამენტო ფილტრი აქვთ



ნარდგანილ მოსამართლეობის კანდიდატურებს აქვთ გასაღები საპარლამენტო ფილტრი, – ამის შესახებ...

სოზარ სუბარჩი: ...ეს სისტემაში მიიქცევა უფარსებებს გააძლიერებს



სასამართლო რეფორმა, რომელიც ახლა შემოსულია პარლამენტში, სიტყვა-სიტყვით იმეორებს შარლ მიშელის დოკუმენტს და ჩვენ მოვალე ვართ...

ლარი ეკონომიკის თერმომეტრია!

ლარის მომავალს უკვე ყველა ოპტიმისტურად უყურებს და თუკი სხვადასხვა შეფასების ანალიზს გვაკეთებთ...

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა პაპუნა ლეჟავამ ბოლო პერიოდში ლარის კურსის გამყარების გამოწვევები მიზეზებზე ისაუბრა და არც ის დამალა...

რაც შეეხება ლარის კურსის ფორმირებას მოკლევადიან პერიოდში, აქ ძირითად როლს

ზუსტად ეკონომიკური აგენტების მოლოდინი ასრულებს. 2020 წლის მეორე ნახევრიდან, როცა პანდემიის დაწყებასთან ერთად...

სებ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ეროვნული ბანკის როლსაც გაუხსნა ხაზი და 2020 წელს გადატეხულ ნაბიჯებზე ისაუბრა. მათ შორის ახსენა ისიც, რომ 2020 წელს ეროვნულმა 916 მლნ დოლარის ინტერვენცია განახორციელა...



ბინა ის დანაკლისი, რაც ეკონომიკამ განიცადა ტურიზმის გაჩერების გამო. ამ პერიოდის განმავლობაში სებ-მა მოახდინა 916 მლნ დოლარის ინტერვენცია...

როგორც ჩანს, ეროვნული ბანკში იმედინად არიან განწყობილნი. პოზიტიურად უყურებენ განვითარებულ მოვლენებს „საზოგადოება და ბანკებ-

ში“. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბიორბი კაპულაკი ბოლო პერიოდის შეფასებას აქვეყნებს: „ბოლო ერთი თვეა ქართული ეკონომიკისთვის საკმაოდ იშვიათ მოვლენას, ლარის გამყარებას ვაკვირდებით...



„ბრძოლა“ ექიმებსა და ტურისტულ სექტორს შორის: უნდა გაუქმდეს თუ არა კომენდანტის საათი?

ზაფხულის საპროტროტო სეზონი გაიხსნა, ძველანაში პირველი უცხოელი დასვენებლებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ტურისტული სექტორის წარმომადგენლები მაინც საირიოზულ პრობლემებს საუბრობენ...

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, ივნისის ბოლოდან კომენდანტის საათის მოხსნის საკითხი სამშაბათის უწყებათშორისი საბჭოს სხდომაზე არ განიხილულა...

მერყეობს 700-მდე. ეს ისეთი მაჩვენებელია, რომ სხვა შემსუბუქებას ამ ეტაპზე რეკომენდაციას ვერ გავუწევთ...

კიდევ უფრო ხისტი პოზიცია აქვს დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორის მოადგილეს, პაატა იმნაძეს. იგი პირდაპირ ამბობს, რომ მათი მხრიდან „კომენდანტის“ მოხსნის რეკომენდაცია არ გაიცემა...

„ჩვენი რეკომენდაცია იქნება, „კომენდანტის საათი“ გაუქმდეს მაშინ, როცა დღიურად ასეულობით ახალი ავადმყოფი არ გვეყოლება. ვიდრე ასე არ იქნება, რაღაცა პატარა შეზღუდვა მაინც უნდა გვქონდეს“...

„სტუმრები გვყავს, თუმცა მათთვის სერიოზული დისკომფორტია კომენდანტის საათი და 72 საათში ჩასატარებელი „პისიარ“ ტესტი...

მიუხედავად ამისა, სასტუმრო უკვე 90%-ით არის დატვირთული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტურისტები აუცილებლად ჩამოვლენ...

„სტუმრებს შორის გვყავს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები. დაინტერესება, ძირითადად, უკრაინიდან, ისრაელიდან, გერმანიიდან და არაბული ქვეყნებიდან არის, თუმცა ჯავშნები ძალიან არასტაბილურია...

სარჯებზე კიდევ უფრო დეტალურად საუბრობს ტურისტული კომპანია „ინვენიო ტრეველის“ დამფუძნებელი და დირექტორი, ნატალია კლიმიაშვილი...

„როგორც კი ტურისტებმა შემოსვლა დაიწყეს, ყველაფერს დასს მოუმატებს. ეს შეეხება, ძირითადად, კერძო სექტორს, სახელმწიფო სერვისებზე, როგორებიცაა მუზეუმები, ნაკრძალები და სხვა, ფასი არ შეცვლილა, ტარიფები შენარჩუნდა...

ვითარებას ართულებს ისიც, რომ ქვეყანაში შემომსვლელ ტურისტებს მესამე დღეს „პისიარ“ ტესტი აქვთ გასაკეთებელი, რაც 30 დოლარი უჯდება. ტესტი სავალდებულოა მაშინაც, როცა ტურისტი ქვეყანას ტოვებს...

„სტუმრებს შორის გვყავს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები. დაინტერესება, ძირითადად, უკრაინიდან, ისრაელიდან, გერმანიიდან და არაბული ქვეყნებიდან არის, თუმცა ჯავშნები ძალიან არასტაბილურია...

სარჯებზე კიდევ უფრო დეტალურად საუბრობს ტურისტული კომპანია „ინვენიო ტრეველის“ დამფუძნებელი და დირექტორი, ნატალია კლიმიაშვილი...

„როგორც კი ტურისტებმა შემოსვლა დაიწყეს, ყველაფერს დასს მოუმატებს. ეს შეეხება, ძირითადად, კერძო სექტორს, სახელმწიფო სერვისებზე, როგორებიცაა მუზეუმები, ნაკრძალები და სხვა, ფასი არ შეცვლილა, ტარიფები შენარჩუნდა...

ვითარებას ართულებს ისიც, რომ ქვეყანაში შემომსვლელ ტურისტებს მესამე დღეს „პისიარ“ ტესტი აქვთ გასაკეთებელი, რაც 30 დოლარი უჯდება...

„როგორც კი ტურისტებმა შემოსვლა დაიწყეს, ყველაფერს დასს მოუმატებს. ეს შეეხება, ძირითადად, კერძო სექტორს, სახელმწიფო სერვისებზე, როგორებიცაა მუზეუმები, ნაკრძალები და სხვა, ფასი არ შეცვლილა, ტარიფები შენარჩუნდა...

ვითარებას ართულებს ისიც, რომ ქვეყანაში შემომსვლელ ტურისტებს მესამე დღეს „პისიარ“ ტესტი აქვთ გასაკეთებელი, რაც 30 დოლარი უჯდება...

სანამ სენსაციურ სიახლეს მოგახლიდეთ, ჯერ, ძალიანაც რომ არ დაგაფეთთოთ, საქმის არსში უკეთ შესაყვანად, ერთ ანეკდოტს გაიმბობთ ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან:

მეფე ერეკლე ძალიან დაღონებულიყო... იჯდა თავისი ერთი ბეწო სასახლის აივანზე და თავ-პირი ჩამოსტკირდა. ამ დროს ცნობილი სომეხმა დიდგვარმა, ალა გეორჯიამ ჯორით ჩამოიარა, ფაფახი მოიხადა, მეფეს მდაბლად თავი დაუკრა; შენიშნა ერეკლეს უგუნებობა და ეზოდან შესძახა:

– რა იყო მეფეო, განა ეგრე რამ დაგაღონა, ხომ არაფერი გაგჭირვებია?

– რაღა რა იყო, ალა გეორჯი, მგერი კარს მომდგომა, მე კი მორიგე ჯარის შესანახი ფული აღარ მაქვს, ჯარისკაცის ჯამაგირი და ულუფაც კი ვეღარ დამირიგებია... დღეს დილით მარაფხანაში ვიყავ და წაშლად ერთი თქროც აღარ არის, მარტო თეთრი და ისიც ძალიან ცოცა... აღარ ვიცი, თქრო საიდან გავაჩინო ულიფუსათვის და რა ვქნა, რა წყაღში ჩავგარდეთ! – შესჩივლა მეფემ.

– თუ სულ ეგ არის, მეფეო, შენი დარდი-წუხილი, თქრო რომ გამოგლევი, ბედნიერი კაცი ყოფილარ, მაგას იოლად ეშველება. აი, მე ხომ ამდენი თქრო მაქვს, გულიდან დარდი ვერ გადავიყარე და მაგის საშველი არც არა არის. მოდი, შენს სატყვივარს მე ვუწამებ და იქნება, შენც მიშველოთ – თამამად უპასუხა ალამ.

– ვაჰ, მე თხოვნა მომერიდა, ისედაც დიდი ვალი მაქვს შენი, თავად მიხვდი და მაშ, თქროს მასესებო? და რა გინდა სამაგიროდ, მთხოვე, თუ შევძელ, ყველაფერს შეგისრულებო – დაიმედდა მეფე.

– მეფეო, მე სახელი და დიდება მჭირდება, შენ – თქრო. მოდი, ისეთ რამეს გეცხვი, ჩემს დარდსაც ეშველოს და შენსასაც – ალამ.

– რას ამბობ კაცო, ისეთი ნება რა იცი, რას მეცხვი, ერთი აქეთ მოდექ, აივანზე ამო და წვრილად მომასხენეო – მიიპატივა მეფემ ალა.

აივანზე ასულიც არ იყო ალა და მოხსნა უკვე გუდას პირი:

– მეფეო, თქრო რაღა გინდა? შენც ადექი, ქალაღი გამოუშვი და მე დააწერე, რომ თქროთო! ეგრე შენს სადარდებელს სამუდამოდ ბოლო მოელება და ფულიც ყოველთვის ულევე გექნებაო. მაგრამ, როცა გკითხავენ, ჭკუა ვინ გასწავლაო – უთხარ, ბებნა ალა და მეც სახელს და დიდებას შევიძენო!

– აბა, ეგ რა გაუგონარ სირეგენეს მირჩევ და რა მლაპარს მიყვები ალა! სად გაგონილია, თქროს ნაცვლად – ქალაღი?! განა ვინ მოგყვებდა, ვინ თხერი გაბრწყინებდა, ეგ ქალაღი ფულად სად და როგორ გავაო? – შუბლში ხელი შემოიარე მწარედ იმედგაცრუებულმა მეფემ.

– მეფეო, შენ თქვი და გავაო! „ასი – გნაცო!“ – რაღა, მეტი დამაჯერებლობისთვის გაასომხურა ნათქვამი დიდგვარმა ალამ...

ეგ იყო და ეგა. ამის შემდეგ ქალაღის ფულს „ასი გნაცო“ ე.ი. სომხურად – „თქვი და გავა!“ ეწოდება...



სენსაციური სიახლე: ფულის გაუღუფება!

ერთი თანამედროვე ებრაელი ისტორიკოსი – იუველ ნოა ჰარარი სწორედ ამით გახდა მსოფლიოში დიდად სახელმწიფო, რომ ეს „ისტორიული აღმოჩენა“ გააკეთა: ჰომო საპიენსისის მოდელმა „ასი-გნაციის“ ილუზიებითა ცხოვრობს და არა ობიექტური რეალობით. ჰარარი ამტკიცებს – კაცობრიობის მთელი ისტორია მონობის, რომ არსებობს არა ერთი, არამედ სამი – „სუბიექტური“ „ინტერ სუბიექტური“ და „ობიექტური რეალობა“.

როგორც წესი, ადამიანები სწორედ „ინტერ სუბიექტურ რეალობაში“ ცხოვრობენ, რასაც უმრავლეს შემთხვევაში – ობიექტურ რეალობასთან კავშირი არცა აქვსო. ზემო ანეკდოტის მაგალითზე: ობიექტური რეალობაა, რომ მეფე ერეკლეს თქრო გაუთავდა და ჯარისთვის ულუფა ვერ დაუბრუნებია. თქრო კი იმდენად არ აღარდებდა, არამედ – ჯარი როგორ შეინახოს და ულუფა როგორ დაარსდეს. სუბიექტური რეალობაა – ალა გეორჯის რჩევა, ადექი, ქალაღს დააწერე, რომ თქროა და ფული ჩეჩქივით, გამოუღებულ გექნებაო. „ინტერ სუბიექტური“ კი სწორედ ესაა – „ასიგნაცია“ – ანუ მეფის ბრძანებით თქროს ნაცვლად ფულად ქალაღის ისე დანებება, რომ ამ ქალაღს ყველა ენდოს და ყველაზე გადიოდეს! მეფე ერეკლეს იმხელა სახელი და დიდება ჰქონდა, რომ ახალი „ინტერ სუბიექტური რეალობის“, სადაც ფულიც კი, თქროს ნაცვლად ქალაღი შეიძლება იყოს და დადიოდეს კიდევ, შექმნა შეეძლო. ალა გეორჯის კი მხოლოდ თქრო ჰქონდა და მარტო თქროთი „ინტერ სუბიექტური რეალობის“ შექმნა არ ხელენიფებოდა. ეს იყო მისი სადარდებელი.

სური ოპერაციების გამარტივების მიზნით, შემოიღეს ქალაღის ფული (არა სომხებმა, არამედ ჩინელებმა), რომელიც ე.წ. საბანკო ბილეთს წარმოადგენდა: იგი იყო წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ დოკუმენტის წარმომდგენს ბანკში იმდენი თქრო ჰქონდა და ნებისმიერ დროს შეეძლო მისი ყველგან, სადაც თქრო ინახება, თავისუფლად განაღდება, რაც ამ ქალაღის ბანკნოტზე (სიტყვა-სიტყვით: „ბანკის წერილზე“) ეწერა. ამრიგად, დაიწყო მატერიალური ფულის არამატერიალური წერილობითი ინფორმაციით ჩანაცვლება. შემდეგი ეტაპი უკვე იყო ქალაღის ფულის ემისიის მონოპოლიზება, ანუ ინფორმაციული მონოპოლიის დამყარება, სუვერენულ სახელმწიფოთა მიერ, ე.წ. ბანკების ბანკის – ეროვნული ბანკების შექმნა, რაც ინსტიტუციურად აკონტროლებდა, რომ ბანკებში შენახული რეალური თქრო და ბრუნებაში გამოშვებული ქალაღის ფული, ე.ი. წერილობითი ინფორმაცია მატერიალური ფულის – თქროს შესახებ, ერთი-მეორესთან თანაზომიერი ყოფილიყო. მაგრამ ნელ-ნელა „აზრი დაკარგა“ ფულმა, როგორც – თქრომ. რასაკვირველია, ეს მასობრივი, ინდუსტრიული სასაქონლო წარმოების შედეგი გახლდათ. ყველაფერი ინარმოებოდა როგორც საქონელი, ე.ი. გასაყიდად. ეს ნიშნავდა, რომ ფულიც მატერიალური თუ არამატერიალური, ასევე იდენტური საქონელი იყო და აღარც ნაღდი თქრო, არც „უნაღდო“ ქალაღის ფული ან ნებისმიერი „ფასიანი ქალაღი“, აღარაფრით განირჩეოდა სხვა, ნებისმიერი მატერიალური საქონლისგან, თუ არამატერიალური და გასაყიდად გამოტანილი მომსახურებისგან.

ლოგიკის („ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიები რომ ქვია) ბევრად უკეთესი პროდუქტი, როგორც დეზინფორმაციისგან ყველაზე უკეთ დაცული ინფორმაცია, ქმნის საფულე „ინტერ-სუბიექტურობას“ და მომავალი უთუოდ მისია.

ახლა კი, მზარდდება!

ბიზნეს-სფეროში სენსაციური ანტი-უტოპიური იდეა: შვიდნარჩუნო და განვითარებული „კრიპტო-ვალუტა-ში“, მარამ არა ვოლუნტარისტულად, არამედ სრულყოფილ მატერიალურ და ობიექტურ რეალობაზე დაყრდნობით. რას ნიშნავს ეს? ერთი სიტყვით აბიესნიტი: უნდა მოვხადინოთ ფულის კრიპტო-ვალუტა!

რა არის „ულუფა“? მეფე ერეკლეს ანაქლოტის მაგალითზე – ულუფა არის მისი დარდის მთავარი მიზეზი. მაგრამ მატერიალურად, „ულუფა“ – გარკვეული სტაბილური დროის (მაგ. ერთი თვის ანდა ერთი წლის) განმავლობაში ამა თუ იმ ავტონომიურ ეკონომიკურ სისტემაში, რომელსაც ფულის ემისიის სუვერენული უფლება აქვს, ერთი საშუალო სტაბილური სუბიექტის მიერ მოხარული პროდუქტით, ოღონდ არა რაიმე დღევანდელი ფულით გამოხატული, არამედ – რეალური მატერიალური გამოხატულებით: რამდენ რა პროდუქტს (დამატარებულად, სახეობების მიხედვით) და რამდენ და რა მოცულობის (საბაზო დამატარებულად), მოინახოს საშუალო სტაბილური ეკონომიკური ინდივიდი. ამის დათვლა, ცხადია, ზუსტად შეუძლებელია თანამედროვე გამოთვლითი სიმპლავრებით, მაგ. იგივე „ბლოკჩეინის“ ტექნოლოგიებით. ეს იქნება ერთგვარი „ბლოკჩეინი – მატრიცა“. ასე რომ, ახალი კრიპტო ვალუტის „ქმნის სტანდარტი“ სწორედ ეს – „ულუფის სტანდარტი“ გახდება. როგორც ადრე, ადრევე შესაბამისობა და თანაზომიერება ფულს, როგორც მატერიალურ ობიექტს – „ქმნის“ შორის.

ოღონდ, „ახალი ოქრო“ იქნება „ულუფა“.

ერთი ულუფა შვიდნარჩუნო დავა ერთს ლუკმად და მიმოქცევაში სწორედ კრიპტო-ულუფაში გავუშვებთ!

ამის შემდეგ, ყველა ოპერაცია თუ ტრანზაქცია, ისევე, როგორც მთლიანად ეკონომიკა, შვიდნარჩუნო ვითვალთ არა მარტო. ლარებში ან დოლარებში, არამედ ულუფაში (ანდა ლუკმაშიც); მაგ. მშპ – დოლარით კი არა დამთავრება, არამედ წლის განმავლობაში გამოშვებული ულუფებით. ობიექტურად დამთავრება სიმდვირად და სილარია. ვინაც თქვამს ნახევარ ულუფაზე ნაკლები შვიდნარჩუნო აქვს, ის ლარია, ვინაც 50 ულუფაზე მეტი – მდიდარი.

რასაკვირველია, კრიპტო-ფულის ეს „ულუფის სტანდარტი“ მთლიანად ააყირავებს ყველაფერს, რადგან ამ უკვე აბსურდულ „ინტერ-სუბიექტურ რეალობას“ „ობიექტურ რეალობასთან“ დაახლოებს. ცხადია, ფული კვალავაც იქნება ინფორმაცია, მაგრამ არა აბსურდული, არამედ ინფორმაცია ულუფის, ე.ი. აბსოლუტურად მატერიალური და რეალური ობიექტის შესახებ. რაც მთავარია: „ულუფის სტანდარტის“ კრიპტო – ფული იქნება ისეთივე მყარი და სტაბილური, როგორც ადრე იყო თქროს ფული. ეკონომიკის მოტივაცია იქნება ჯერ ულუფის და მერე, რაც შეიძლება მეტი ულუფის შოვნა. ამის გამო, ყოველ წელს მოხმარება გაიზრდება და მუდამდებ, გაიზრდება „ულუფის სტანდარტის“ წონაც. ეს იგივეა, რომ „ოქროს სტანდარტამდე“ მდგომარეობაში თქრო წონაში თავისთავად მატულობდეს. მეტი რაღა უნდა გინდოდეს კაცს?!

მოკლედ: ფული უნდა გაუღუფდეს! და არა პირიქით, როგორც დღესაა – ულუფა გაუღუფდეს და ამით, მუდამდებ და მუდამდებ უსაშველოდ ძვირდება.

ჰა, რავარია? არ მერგება ახლა მე მუქთად ერთი ულუფა, ანუ ასი ლუკმა?!

დავით ზარდიაშვილი



ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და თითქმის აბსურდული „ინტერ-სუბიექტური“ რეალობა – სწორედ ფული გახლავთ. განსაკუთრებით, მას შემდეგ – რაც გაუქმდა ე.წ. თქროს სტანდარტი. მანამდე ფული – მატერიალური, მეტ-ნაკლებად ობიექტური რეალობა იყო და იგი თქროს (ან რაიმე სხვა ძვირფას მატერიალურ, როგორც ნივთი – ვერცხლს, ბრინჯაოს, სპილენძს და სხვ.) წარმოადგენდა. ფულს ამა თუ იმ ტერიტორიის სუბერენი, რომელსაც ხელთ ეპყრა პოლიტიკური ძალაუფლება, ჰქონდა – თუმცა იგი, დღევანდელი მნიშვნელობით – ფულს არ აწარმოებდა: ფულის მოჭრა ნიშნავდა რეალურად არსებულ თქროზე ტვიფრის დასმას, რაც სუბერენის სანდო ბეჭედი იყო და ადასტურებდა – ეს კონკრეტული მონეტა ნამდვილად თქროა, ნამდვილად იმ წონის, ე.ი. იმ ღირებულების, რაც ზედ აწერია. შემდეგ, ინტენსივიკაციის კვალობაზე, სავაჭრო და ფინან-

სეიძლება ითქვას, რომ თქროს სტანდარტის გაუქმებით დასრულდა მატერიალური ფულის ისტორია. დღეს ფული აბსოლუტურად ინფორმაციულია და მას, ამის, ე.ი. უკვე აბსტრაქტიზებული ინფორმაციის, ანუ „ინტერ-სუბიექტური რეალობის“ გარდა, რაიმე სხვა მატერიალური საზრისი არცა აქვს.

გამოდის, რომ მატერიალურ ღირებულებათა საზომი არის აბსოლუტურად არამატერიალური რამ: ინფორმაცია, აბსტრაქტული, ნაკლებად ობიექტური, არამედ ნებისმიერად მოაზრებული, სამაგიეროდ „ინტერ-სუბიექტურად“ ნაკითხული, მონაცემები, რაც უკვე ქალაღად ეცეკი აღარ იწერება, არამედ ციფრულად, ელექტრონული სიგნალების სახით არსებობს, მონაცემობაზე ინახება და მონაცემობაზე ტრიალებს. ცხადია, ეს უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ ე.წ. კრიპტო-ვალუტა, როგორც საინფორმაციო ტექნო-

ქართული ოცეულის მარტონი სენტრალური პერიკში!

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სანვრთ-ნელი მისიის EUTM RCA მეთაურის ორგანიზებით დედაქალაქ ბანგიში მარტონი მოეწყო. სპორტულ ღონისძიებაში საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ნაკრები ოცეული მისიაში მონაწილე 13 ქვეყნის სამხედრო მოსამსახურებთან ერთად მონაწილეობდა. მშვიდობისმყოფელებმა მარტონში 12-კილომეტრიანი დისტანცია დაფარეს. მათ სტარტი ბანგიში მდებარე საფრანგეთის საელჩოდან აიღეს და ფინიშიც ხაზიც აქ გადაკვეთეს. ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-სანვრთნელი მისიით გათვალისწინებულ ამოცანებს დედაქალაქ ბანგიში, „მპოკოს“ ბაზაზე მოახანს კემპზე ასრულებენ. მათი მთავარი ამოცანა ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოტორიზებული პატრული, კონვოირება და გაცილებაა.



მხარალთა საკავშირო პირველი ყრილობა. ბორის პასტერნაკი მარჯვნივ მხარულთაგან ერთად 1934წ

დიდებული რუსი პოეტი ბორის პასტერნაკი საქართველოს პირველად ესტუმრა 1931 წლის გაზაფხულში. თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში ააზიანებდა შთაბეჭდილებებს ასე იხსენებდა:

„იმჟამად საქართველო, ცალკეული მისი მკვიდრნი, თავად ქართველი ხალხის ცხოვრებას, ჩემთვის ნამდვილი გამოცხადება იყო. ყველაფერი სიხალისე მოასწავებდა, ყველაფერი მანცხვრებდა. თბილისის მრავალი ქუჩის სიღრმეში ჩამოწოლილ ქვის შენობათა ვეება ჩრდილები, ეზოებიდან ქუჩაში გამოფენილი ცხოვრება ღარიბ-ღატაკი მოსახლეობისა – უფრო თამამი, ნაკლებად კარჩაკეტილი, ვიდრე ჩრდილოეთში, ნათელი და გულწრფელი. ხალხურ თქმულებათა მესიანური სიმბოლიკა, რომელი წარმოდგენებითა და შთაგონებით სიცოცხლისაკენ გიბიძგებდა და, როგორც კათოლიკურ პოლონეთში, ყოველ ადამიანს პოეტად აქცევდა. საზოგადოების მოწინავე ნაწილის მაღალი კულტურა, გონებრივი ცხოვრება, ასეთ ხარისხში აყვანილი – იმ წლებში მეტად იშვიათი იყო.“

დიდებული პოეტის თვალში პირველი შეხვედრისთანავე სასწაულებრივი ჭკრეტით აღნუსხა და შეიცნო უცხოელისათვის არცთუ იოლად მისახვედრი ნიუანსები ადგილობრივი მკვიდრთა მუნებობა და იმ მანერადი სულისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მფარველი ანგელოზებით თავს დასტრიალებდა კავკასიის მთებზე მიჯაჭვულ ქვეყანას, სადაც ერთმანეთს ემეგობლებოდნენ რეალობა და ილუზია, ბალახი და გრანატი. პოეტის თვალი ამჩნევდა სინაზით შეფერილი გაჭირვებას, მყინვართა კვარცხლბეკად ჩამდგარ სითბოს, სამოთხისა და ჯოჯოხეთის ერთობ კოლორიტულ სიმბიოზს და ხვდებოდა თუ რაოდენ დახვეწილი დოზებით განზავებული იყო მიწასთან და ცასთან – გარჯა და იღბალი, ვალი და შაერი, რათა სიყმილთა, დამარცხებათა და ტყვეობათა ხანგძლივ გზაზე ჩამოყალიბებულიყო აქაური ადამიანი, მეოცნებე და მშფოთვარე – ორი სამყაროს მიჯნაზე, ერთისაკენ რომ მიუწევდა გული და გონება, მაგრამ ყოფიერება, სანახევროდ შეთვისებული ადათ-წესებითა და ზნე-ჩვეულებებით, კალთაზე ემლაუჭებოდა და უკან აბრუნებდა, შორეული სინათლიდან – ახლომელ სინამდვილეში.

ბორის პასტერნაკმა ჩვენი სამშობლო გაიცნო იმ ხანებში, როდესაც, ანდრეი ბელის ორნამენტული შენიშვნით, ამქვეყნად მატერიალიზმის ზეიმმა გააუქმა მატერია. საჭმელ-სასმელიც ქრებოდა და საშოსელიც. მგზნებარე და ოპტიმისტური იდეები კი ნათელ მომავალს უქადა და პლანეტის ერთ მეექვსედს და შემდგომში – მთელ პლანეტასაც.

პასტერნაკი თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში წერს: თუკი ჩვენ მაშინ სული არ გავგვძვრა შიმშილით, ეს მხოლოდ და მხოლოდ თბილისელი მეგობრების დამსახურება გახლავთ.

სწორედ იმ წლებში ჩაეყარა საფუძველი პასტერნაკის პირადსა და შემოქმედებით მეგობრობას ტიციან ტაბიძესთან, პაოლო ჩიქვლიძესთან, გიორგი ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან...

ცნობილი იტალიელი ლიტერატორი ვიტორიო სტრადა და თავად პოეტის ვაჟი – ევგენი პასტერნაკი აღნიშნავენ, რომ საქართველო „მეორე სამშობლოდ“ იქცა ბორის პასტერნაკისათვის.

...1936 წელს მოსკოვში პასტერნაკს სტუმრად ეწვია ავსტრიელი მწერალი ფრიც ბრიუველი და პრადამი ჩეხურად თარგმნილი მისი ლექსების კრებული მიართვა.

აი, რას ამბობს ბრიუველი:


„როგორი არაჩვეულებრივი პირისაზე ამ პოეტს – მშვენივრად არასწორი და არასწორად მშვენიერი ნაკვთებით, რომლებიც არასოდეს ქვაფეხება, ისევ და ისევ გარდაიქმნება. მეტყველებს არა მარტო ბავნი, არამედ მთელი პირისაზე პოეტისა. ხელებით თითქოს ხაზს უსვამს თავი ყოველ ნათქვამს. შეჰყურებ ამ ხელებს და ასე გგონია, რომ მათი პატრონი მოქანდაკეა და არა – ლირიკოსი. ამ მოხდენილ, ძლიერ ხელებს ძალუძთ, ჩაბღუჯონ ყველაფერი, რასაც მოიხელთებენ. ხანდახან ვეჩვენება, რომ ძალზე ნერვიული ხელები აქვს, მაგრამ ასეთი შეგრძნება მყისვე გაგივლის; ხელები წყნრად ეყრდნობიან მაგიდას, უდიდესი დაძაბულობის შემდეგ თითქოს სული მოითქვას. ჩემ თვალშია სახე იღუმალი და თითქმის მისტიკური პოეტისა, რომელიც ფრიად რეალურად ცხოვრობს სამჭოთა კავშირის ფრიად რეალურ სამყაროში.“

უცხოელი სტუმარი გულდინჯად ათვალიერებს მასპინძლის პირისახესა და მოუსვენარ ხელებს, იმასთვრებს პორტრეტის ყოველ შტრიხს, თითქოსდა მისი გამოძერწვა განუზრახავს. დუმილი ნთქავს წუთებს და პოეტიც ფიქრშია ჩასული. მერე საწერი მაგიდიდან აიღებს წიგნს – „ქართველი ლირიკოსები“ და ეუბნება ბრიუველს:

„რაოდენ დიდებული პოეზიაა! კარგი იქნებოდა, ესეც ხელმისაწვდომი გამხდარიყო ჩეხებისათვის, რომლებიც ესოდენ გულისხმიერად ევიდებიან საერთოდ ლირიკას. ქართულ პოეზიაში ჩამალულა დიდი მითოლოგია. ამ ლექსებში ჩქეფს გასაოცარი სიყოფილე. ისინი სავესებით თანამედროვე ლექსებშია, მაგრამ ყოველი პოეტი ჩემი ქართველი მეგობრებიდან, რაც არ უნდა აქტუალური იყოს და რაც არ უნდა მტკიცედ იდგეს დღევანდელი მისი ნიადაგზე, თავის ცნობიერებაში მაინც ატარებს ქართული პოეზიის მთელ გზას. ტრადიციის ჯაჭვი არ გაწყვეტილა. ეს რადაც დაიდა მთვლენა.“

კითხულობ ამ ტექსტს და ევკმიუტანლად გრძნობ, რომ ქართული ლექსი ისევე ეაყვება, როგორც მოზოლიური და ბავ-

მო-მ-ს-ე-ო-მ



ვობიდანვე ძვალ-რბილში გამჯდარი. პასტერნაკს ეწადა, რომ ქართული ლექსი დასავლეთსაც მისწვდომოდა, იქაც გავიგოთ, რომლებმანდარულ კავკასიაში მარტოოდენ ოქროს საწმისი როდი მრჭყვი-ალებდა, არამედ მხატვრული სიტყვის უჭკნობი შედევრებიც, რომელთა კვალი ძალდაუტანებლად აღმეჭდილიყო თანამედროვე მწერლობაში.

ქართული ლექსი და სიმღერა რუსი პოეტის განუწყურელ თანამგზავრებად იქცა. ბორის პასტერნაკი ყოველთვის საქმით ამტკიცებდა საქართველოს სიყვარულს. პოეტმა თავის ლექსებში ნოვატორული მხატვრული ხერხებით ასახა საქართველოს მრავალგზის ნაქები ბუნება და სცადა, ჩასწვდომოდა ქვეყნის მკვიდრთა სულის იღუმალბებს.

პასტერნაკმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქართული პოეზიის თარგმნას და რუსულ ენაზე საუცხოოდ ამეტყველა ყოველი წიგნიერი ქართველისთვის ძვირფასი სტრიქონები: მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს... ეს თოვლია თუ მიმინომ დააფეთა მტრედეები?... აი, ქართლის ხმა სად იყიდება, ჯავახიშვილო და ინგოროყვა!... გაშრა, გაფითრდა, ცრემლი კი არ მოსდგომოდა თვალებში; სულ გულში ჩაგუმბოლა და გამწვანდა მკლავებში...

1934 წლის 22 ნოემბერს მოსკოვის მწერალთა სახლში პასტერნაკს საჯაროდ წაუკითხავს ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ რუსული თარგმანი. შესავალ სიტყვაში განუცხადებია: „ეს გახლავთ პოეტის ისეთი გაქანების და მასშტაბისა, რომ ძველისძველი და პოეტებით არცთუ ღარიბი ქართული ლიტერატურა, დამშვენებული თვით რუსთაველის სახელით, ყველაზე დიდ პოეტად რუსთაველის შემდეგ მიიჩნევა ვაჟა-ფშაველას“.

1935 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა კრებული „ქართველი ლირიკოსები“ (თარგმანი ბორის პასტერნაკისა, მხატვრული გაფორმება ლადო გუდიაშვილისა).

ეს წიგნი მთარგმნელს სტალინისათვის გაუგზავნია და მოკლე წერილში მოკრძალებით აღუნიშნავს:

„ძარბაველი ლირიკოსები“ სუსტი და არადამოუკიდებელი ნამუშევარია, რომლის ღირსება და დამსახურება მთლიანად ეკუთვნით თვით ავტორებს, მნიშვნელოვანწილად შესანიშნავ პოეტებს. ვაჟა-ფშაველას თარგმნისას შეგნებულად გადავუხვიე დედისეული ფორმის ერთგულბას გარკვეული მოსაზრებებით, რითაც ვერ ვმედავ თავი შეგაწყინოთ. შეწადა, რომ უფრო ღაღად გადმომეცა თავისი მშვენიერობა და აზრით უძირო, გრგვინვანარი სული დედისა“.

1946 წელს მოსკოვში გამოსცეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების წიგნი, თარგმნილი ბორის პასტერნაკის მიერ.

მოკლე წინათქვაში მთარგმნელი შენიშნავდა:

„ბარათაშვილის ლირიკას ახასიათებს ნოტები პესიმომისა, მოტივები მარტობისა, განწობილება მსოფლიო სევდისა, მაგრამ ამაში როდი ვხედავთ მისი შემოქმედების არსს. ჩვენთვის გაცილე-

ბით მნიშვნელოვანია ის, რომ რომანტიკული მოტივები და გაწყობილება ნივთიერად შერწყმია რეალური ცხოვრებისა და ყოველდღიურობის ნიშნებს, რომ მის ნაწერებს აზის განუმეორებლობის ბეჭედი და განყენებულ ცნებათა მიღმა იხატება თავისებურებანი დროისა, ისტორიული ფონი, სცენები ბიოგრაფიულიდან... ვერაფერი შეედრება გამომსახველობითი სტიქიის აფეთქებას სწორუპოვარ, გამაგებულსა და შთაგონებულ „მერანში“. ეს არის რწმენის სიმბოლო მდთან შეჭიდებული დიდი პიროვნებისა, ვისაც სჯერა თავისი უკვდავება და სჯერა ისიც, რომ ადამიანთა ისტორიის მსვლელობა აღმეჭდილია მიზნითა და აზრით“.

იმავე წელს მოსკოვში დამეჭდილი წიგნისათვის („ქართველი პოეტები“) გამიზნულ წინასიტყვაობაში პასტერნაკი კიდევ ერთხელ ასხამდა ქებას უბადლო ვაჟა-ფშაველას, ვისი შემოქმედებაც, ქვეყელი რჩეულთა კუთვნილებად, თამამად გაეჭიბრებოდა და კიდევ დასაზნინდა დასავლეთის უახლესი დროის უდიდეს ინდივიდუალისტთა ქმნილებებს.

...იდგა 1945 წლის შემოდგომა. მოსკოვის რომელიღაც ქუჩაზე მიაბიჯებდა კაცი, გამგულელთა ბორის აშკარად რომ გამოინჩვოდა, თუმცა უბრალოდ და დაუდევრად იყო ჩაცმული. მისი უზრუნველი და ხალისიანი გამომეტყველების გამო ვინმეს შესაძლოა ნასვამივ კი ჰგონებოდა, მით უმეტეს, რომ რაღაც უცხოურ სიმღერას ღიღინებდა. ამგვარი სიარული იყოდა პასტერნაკმა – ლალი, მსუბუქი ნაბიჯით; კი არ მიაბიჯებდა, თითქოს მიფრინავდა.

როგორც მისი კერძო წერილიდან ირკვევა, 1945 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო დღეებში საქართველოში ყოფნისას გიორგი ლეონიძის მეუღლეს – ქალბატონ ეფემიას პასტერნაკისთვის უსწავლებია, პოეტის სიტყვითვე რომ ვთქვათ, „ერთი საუცხოო, დახლართული, ლაბირინთის მსგავსი მეგრული სიმღერა თი-რადო“.

და აი, მოსკოვში დაბრუნებული პასტერნაკი იმავე წლის ნოემბერში სწერს ნინო ტაბიძეს:

„გამუდმებით ვლიინებ ამ სიმღერას, როდესაც ვფიქრობ თქვენზე და იმ ორ ზღაპრულ კვირაზე, საქართველოში რომ გავატარე. მივაბიჯებდი მოსკოვის ქუჩებში, მეგრული სიმღერა ხმინაობდა სულში და შეჰყრობილი ვიყავი იმ სიმძიმლით, რომელიც ახალგაზრდობაში გვეუფლებოდა ხოლმე ძვირფას ადამიანებსა თუ ადგილებთან ნაძალადევი და ნაადრევი განშორების გამო. მივაბიჯებდი და ვფიქრობ-

დი: „ნატომ წამოვედი იქიდან?“ ან უფრო უკეთესად რომ ვთქვა: მივაბიჯებდი და ვგრძნობდი, რომ მოსკოვში დაგზავნილი მხოლოდ გარეგნულად, მხოლოდ ფეხი და ვალები მოსკოვის მიწას, ხოლო სულითა და გულით საქართველოში დავრჩი...

მრავლისმოქმედი ეს თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტი. მოპენისა და სკრიაბინის ტრფილს, იმ კაცს, რომელიც სიჭაბუკეში არჩევანის წინაშე იდგა – მუსიკას გამყოლოდა თუ პოეზიას, და კინაღამ კომპოზიტორობას არ მოჰკვიდა ხელი, საქართველოდან მოსკოვში მგზავნილი სიმღერა გასდევნებია და ველარ იმორებს ტკბილად აკვირებულ მოტივს.

1951 წელს ქართველი მეგობრები ჩასულან პერედელკინოს აგარაკზე. მთელი დამე გავრძელებული ღვინო. სტუმრები დროდადრო ქართული ხალხური სიმღერებით ატკობდნენ სუფრას და აღტაცებულ პასტერნაკს თურმე ცრემლი ადგებოდა თვალებში. „რამხელა მშვენიერებაა, – ამბობდა იგი, – მართლ ამათ მოსასმენადაც კი ღირს ცხოვრება ამქვეყნად“.

ნატო ვაჩნაძე, ტრავიკულ დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე, სტუმრად ყოფილა იმავე პერედელკინოში. მოულოდნელად პასტერნაკს შეუწყვეტია დამსწრეთა რესპექტამელური მუსიკა და ქალბატონ ნატოსათვის პათეტურად მიუმართავს: „თქვენი მშვენიერა იწვევს სურვილს, რომ დაგიჩოქოთ!“... უთქვამს და მისივე შეუსრულებია მისთვის ესოდენ ბუნებრივი, გულიდან მოვარდნილი განზრახვა.

ნეტამც ფოტოსურათზე აღგებდათ ეს უნიკალური სანახაობა: დიდებული რუსი პოეტი მუხომოყრით თავყვანას სცემს ქართული კინოს ვარსკვლავს.

მოყვასის სიყვარული პასტერნაკისათვის მხოლოდ სადღეგრძელოში სათქმელს როდი წარმოადგენდა. სიტყვას ამტკიცებდა საქმით და, ქრისტეანული მწიგნობის თანახმად, არასოდეს ლამობდა, რომ თავისი სიკეთე მთელი ქვეყნისთვის ეუწყებინა.

წლების მანძილზე ანუგეშებდა ეულად შეთნიღ ნინო ტამბიძეს, აიშვებდა, ამხნევებდა, ეხმარებოდა.

კომპეტენტურ ორგანოთა გარდა, არავინ იცოდა ტიციან ტამბიძის ასავალ-დასავალი. არც ცოცხლებში ეწერა, არც მკვდრებში. უმწერ იმედი ხან სანთელივით აციმციმდებოდა, ხანაც ქრებოდა.

1956 წლის გაზაფხულზე ბორის პასტერნაკმა დაასრულა ავტობიოგრაფიული ნარკვევი „ადამიანები და გარემოებანი“, რომელიც იმავე წლის დამლევს ქართულ ენაზე გამოქვეყნდა ჯერნალ „მნათობში“ (რედაქტორი – სიმონ ჩიქოვანი). ალბათ ეს იმეათი მოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში, რომ ჯერ ქვეყნდება თარგმანი და შემდეგ (კარგა ხნის შემდეგ) – მისი დედანი.

1959 წლის დამდეგს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამრძანდა დიდი მრითანეთის პრემიერ მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი, თან ჩაჰყვა კორესპონდენტთა მთელი დივიზია. ისინი, ცხადია, შტურმით აიღებდნენ პერედელკინოს, რათა დალაპარაკებოდნენ სახელგანთქმულ პოეტს და ხელი-სუფლებამ, არასასურველი აუიოტაჟის შიშით, დედაქალაქის დატოვება უზრუნველყავდა. რომელმაც დროებით თავშესაფრად, რასაკვირველია, აირჩია საქართველო. 20 თემგზავს, მეუღლესთან ერთად, თბილისში ჩამოფრინდა და ორი კვირა გაატარა თავის „მეორე სამშობლოში“. დაბინავდა ნინო ტამბიძესთან, რომელმაც დაუთმო თავისი მინის ნახევარი და არ დააკლო სიყვარული, მოვლა და სიმშვიდე. თბილისში მევს დადიოდა. მეგზურობას უწევდა ტიციან ტამბიძის ასული, სახელად ნიტა.

სიცოცხლის მიწურულში პასტერნაკი ისევ გაიტაცა ქართული ენის შესწავლამ (30-იან წლებში უკვე იცოდა ანბანი და ცოტაოდენი გრამატიკა). ითხოვდა თვითმასწავლებელი ან სახელმძღვანელო მომარჩოვით.

ჩაფიქრებული ჰქონდა ისტორიული მთხრობა საქართველოს ადრეენისტიანული წარსულიდან, სადაც აპირებდა ქართული ხასიათის იმ „მოუხელთავი ნიშნების“ დაჭერასა და ამოსხნას, რაც კარავა ხანია არ აძლევდა მოსვენებას.

მაგრამ ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმა ველარ მოასწრო.

1989 წელს ბორის პასტერნაკს დიდი ამბავისა და სიყვარულის საზღაურად მიენიჭა რუსთაველის პრემია (სიკვდილის შემდეგ).

მოამზადა ლაზა ბიორბაძემ

ქსნის ერისთავთა სასახლის ოკუპაცია!

17 ივნისს ოკუპირებული ახალგორი მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა დატოვა. მათ შორის იყო ისტორიკოსი ვლადიმერ ლუნაშვილი, ახალგორის მუზეუმ-ნაკრძალის ყოფილი დირექტორი. ბოლო წლებში მას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა და ეს ამბავი მის დირექტორობას და მუზეუმის გარშემო შექმნილ პრობლემებსაც უკავშირდება. დე ფაქტო ხელისუფლებამ ის თანამდებობიდან მოხსნა და მის ადგილას სკოლის დირექტორი ზალინა ჩერტკოვა დაინიშნა. ისტორიკოსი ვლადიმერ ლუნაშვილი რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ ახლა მისთვის მთავარი ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაა და არ იცის, დაბაში ისევ დაბრუნდება თუ არა. ოკუპირებული დაბიდან მუზეუმის ყოფილი დირექტორის გამოსვლამდე კი დე ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორის მუზეუმის შესახებ ახალი ინფორმაცია გაავრცელა. სააგენტო „რესის“ ცნობით, შეიქმნა ახალი საბიუჯეტო ორგანიზაცია „ისტორიული მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმი“. დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ქსნის ერისთავთის სასახლე და მუზეუმი დე ფაქტო კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის. დე ფაქტო კულტურის მინისტრ უნა ზასევეას განცხადებით, „მუზეუმი წარმოადგენს განსაკუთრებულ ფასეულობას, იქ ინახება ოსების ისტორიის შუა საუკუნეების მასალები, რომლებიც დამატებით შესწავლას საჭიროებს“.

ის, რაც ზასევეასთვის ოსური ისტორია და კულტურული მემკვიდრეობაა, ისტორიკოს ლუნაშვილისთვის არის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. მუზეუმის ყოფილი დირექტორი ამას ხმაოდ ლაღ ამბობდა და მისი თანამდებობაც ამას შეენიერა. ვალო ლუნაშვილი აცხადებს, რომ მისი ისტორიული-დელოლოგიურად განსხვავებული პოზიცია მიუღებელი იყო დე ფაქტო ხელისუფლებისთვის და ეს ბოლო წლების რეპრესიებშიც გამოისახებოდა.

„მე რატომ მოხსნეს და მანდ არის იდეოლოგიური განსხვავება. ისინი ამბობდნენ, რომ რაც ამ არის, ყველაფერი არის ოსური. მე ის ძალიან მაზოფობია და ახლაც მაზოფობიაა. ამ ოსური და ალანური არაფერი არ არის. ოსები საძირითველოში და ქსნის ხეობაში ჩამოვიდნენ 1737-38 წლებში და ახას ოსი მაცნიერი ვასილ აბაივი წარს. აბაივი და დიდი მაცნიერი მათ არ ჰყავთ. ამ პოზიციის გამო, მუზეუმის თანამშრომლებმა და ჩამოა ჩაწოლა განუწყობილი მიმდინარეობს. დიდი არაისის ძველ პარტი“.

ოკუპირებულ ახალგორის რაიონში კულტურის სფეროს მუშაკებსა და პედაგოგებზე განხორციელებული რეპრესიე-



ბის შესახებ სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა.

„სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო უშიშროების სამსახური ბოლო პერიოდში დაინტერესდა კულტურის სფეროს წარმომადგენლებითაც. ამ შემთხვევაში საქმე ეხება კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის არტეფაქტების თითქოსდა სამხრეთ ოსეთიდან გატანას, რის გამოც გამოკითხვაზე დაიბარეს კულტურის გამოცდილი მუშაკი.“

დევნის და ზენოლის ფაქტები, რომლებიც ბოლო კვირებში ახალგორში მოხდა, დამაფიქრებელია იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეიძლება ისინი ტანჯილიყო „წერტილოვანი“ ტერორის განხორციელებით, რომელიც ადგილობრივი ქართველი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლების წინააღმდეგ არის მიმართული“, – წერია ინსტიტუტის განცხადებაში.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ყოფილი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი რადიო თავისუფლებასთან საუბარში აცხადებს, რომ მუზეუმის ხელმძღვანელი და თანამშრომლები მუდმივ რეპრესიების პირობებში ცხოვრობდნენ. ყოფილი სახალხო დამცველის აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგორის კულტურის სფეროს წარმომადგენლებს და პედაგოგებს.

ახალგორის მუზეუმის პრობლემები კარგადაა ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაცია „ლურჯი ფარის“ ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელის მანანა თევზაძისთვის. ორგანიზაცია შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მონიტორინგის მიმართულებით მუშაობს, ამიტომ „ლურჯი ფარისთვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და ქართლის ოკუპირებულ ნაწილში არსებული ძეგლების მდგომარეობის შესწავლა. მანანა თევზაძე ინფორმირებულია ახალგორის მუზეუმის თანამშრომლების პრობლემების შესახებაც. მისი აზრით, დე ფაქტო ხელისუფლება ამ ნაბიჯით სრულ კონტროლს მოიპოვებს მუზეუმზე და საფრთხეში ვარდება ის ექსპონატები, რომლებიც იქაა დაცული. გარდა ამისა, მას არ გააკვირვებია დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან ისტორიის ფალ-

სიფიკაციის მორიგი მცდელობა.

ახალგორში ქსნის ერისთავთის სასახლეში განთავსებული მუზეუმი 2008 წლიდან რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა დარჩენილი და მუზეუმის ყოფილი ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს ამ მუზეუმ-ნაკრძალის იდენტობის შენარჩუნება დიდი ძალისხმევის ფასად უწევდათ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მითვისებით არის დაკავებული. პროცესი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ინტენსიურად მიმდინარეობს.

ახალგორის მუზეუმი განთავსებულია ქსნის ერისთავთა სასახლეში (XVII ს.). ქსნის ხეობა მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. ჯერ კიდევ ვახუშტის ცნობებში მოიხსენიება მცირე ქალაქი ახალგორი, რომელიც ქსნისა და არაგვის ერისთავთა რეზიდენციას წარმოადგენდა. ახალგორის რეგიონში მდებარე საველესო სურთომოდვრების გამოჩენილი ნიმუშებთან ერთად, თავისი ისტორიული-მხატვრული ღირებულებით მნიშვნელოვანი ძეგლია XVII ს-ის I ნახევრის ქსნის ერისთავთა ციხე-დარბაზი და რეზიდენცია. მასში განთავსებულია მუზეუმი – არქეოლოგიური არტეფაქტების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების, ეთნოგრაფიული მასალის ექსპოზიციით. ეს ყველაფერი კი ახლა საფრთხეშია, მით უმეტეს, თუ გაიხსნება ოკუპირებული ტერიტორიებიდან გასაყიდად გატანილ ექსპონატებს. ყველაზე ხმაურიან მაგალითად ოქონის ხატიც გამოდგება. ოქონის ხატი-ტრიპტიქონი ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, 1991 წელს, ცხინვალის მუზეუმიდან დაიკარგა. ხატი ცხინვალის მუზეუმში 1925 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, გადაიტანეს. ოქონის ტრიპტიქონი ხელახლა ჩნდება 2001 წელს. იგი კრისტის აუქციონზე გასაყიდად გამოაქვს რუსეთის მოქალაქე ოლეგ ზემლიანიკოვს. სპეციალურმა კომისიამ მისი საწყისი ფასი 2 მილიონი აშშ დოლარით განსაზღვრა. ამ ამბავმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. 3 წელი გრძელდებოდა კვლევა და, საბოლოოდ, ტრიპტიქონი საქართველოს 2004 წელს დაუბრუნდა. ექსპონატი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადაეცა.

გოგა აფციაური, რადიო თავისუფლების კორესპონდენტი

ვანდალურ აქტს მინისტრი უხეიანება

საპარტიველო კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას, – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე განხორციელებული ვანდალურ ფაქტს გამოეხმაურა.

„მინდა მადლობა გადავუხადო სოციალურ ქსელში გავრცელებული პოსტის ავტორს. მე დიდიხან ადგილზე მივაგლინე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს თანამშრომლები. აღმოჩნდა, რომ იქ მომხდარი იყო ვანდალიზმის ფაქტი და ამჟამად მიმდინარეობს ნებართვის გაცემის პროცედურები შესაბამის სპეციალისტებზე, რათა აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ადგილზე შესაბამისი დაცვების მექანიზმი ისევ დაყენდეს“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

საქართველოს კულტურული

მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, თბილისში დაზიანებული არაბული წარწერის აღდგენა დაწყებულია.

„პუშკინის ქუჩაზე მდებარე არქეოლოგიურ კომპლექსზე 19 ივნისს ვანდალურად გადაღებული წარწერის რესტავრაციას, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შეტყობინების საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო დარგის სპეციალისტებთან ერთად უზრუნველყოფს.“

გაცემული ნებართვის საფუძველზე, ძველი გალავნის კარიბჭის კედელში ჩაშენებულ უძველეს არაბულ წარწერის ქვიშაქვის ფილაზე აღდგენილი სამუშაოებს უკვე ანარმობენ სააგენტოს არქიტექტორ-რესტავრატორი და შპს „იუკონი და კომპანისა“ კონსერვაციის სპეციალისტი“, – აცხადებენ უწყებაში.



„და ალიკორიან იმავ მიწისთვის“ ...



ბასული კვირა აქტიური გამოვლა რეპორტიჟის, საღას ყარაბაღის მორაქობების შედეგად გამოვლი-ბაბული სტატუს-კრო, შესაძლოა, ბოლო კონტროლსა პი იმპნს: ერთი, რომ სომხური საზოგადოებისთვის მკვიფრული – გყვეების საკითხი ლოგიკურად ყარაბაღში ბაზირებული კონტროლის კოორდინაციის თურქულ – რუსული ცენტრის ფორმატში უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა გაირკვა, რომ ბაქო ერევანს 15 გყვე სომხური ნაღმების რუკების სანაცვლოდ ამერიკული და ქართული მხარეების ჩართულობით გადასცა; მეორე – თურქეთ – აზერბაიჯანში, მათ შორის, სამხედრო თანამშრომლობის შესახებ დეკლარაციას გააფორმეს; მთიან ყარაბაღის აზერბაიჯანის კონტროლ ქვეშ არსებულ ნაწილში – შუშაში ვიზიტისას კი მორიგ ჯერზე გააქვდა თურქეთის ლიდერმა „პ3“ ფორმატის საკითხი და თქვა ისიც, რომ ამის შესახებ საქართველოს პრემიერსაც ესაუბრა ანკარაში. ამ

ჯერზე ოფიციალურ თბილისს ერდოღანისთვის არ უპასუხია, თუმცა „აქცენს“ ინფორმირებული წყარო უამბობს, რომ თბილისი, მათ შორის, დახურულ შეხვედრებზე მუდმივად ადასტურებს პოზიციას იმგვარი ფორმატის მიუღებლობის თაობაზე, რომელშიც ერთ-ერთ აქტორად რუსეთი განიხილება, აკისრებს რა მას გერიგორიების ოკუპაციაზე პასუხისმგებლობას, განიხილავს აგრესორად და მთავარ საფრთხედ. ალბათ ამიტომაც, ერდოღანს საქართველოს პრემიერთან ერთად ანკარაში გამართულ პრესკონფერენციაზე არ გაუმხვილებია ყურადღება ხსენებულ პლატფორმაზე, თუმცა ისაუბრა აზერბაიჯანელ კოლეგასთან ერთად. მაინც რა სიახლეები შეაქვს უკანასკნელ მოვლენებს რეგიონში გავლენითა და ნაწილების კონტაქტში? რა პერსპექტივა აქვს რეგიონის დიპლომატიისთვის არასასურველ პლატფორმას და რა ამოცანები აქვს საქართველოს? – ამ და სხვა საკითხებზე „აქსენსი“-ილას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის თანახმად მღვანელს, ისტორიკოს ბექა კობახიძეს ესაუბრა

ხავს, კრემლი ამისთვის მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის კონტროლს მიღმა დარჩენილ ტერიტორიებს უფრო გამოიყენებს. თუმცა, კობახიძის ხედვით, მსგავსი თეორიული სცენარების არსებობაც ზემოქმედებს ქმნის სომხეთის ხელისუფლებაზე (ვინც არ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში) და კრემლისადმი მაქსიმალურად ლოიალური დამოკიდებულებისკენ უბიძგებს.

საქართველოს აქცენსი

რაც შეიძლება მეტი დასავლეთი რეგიონში და დაბალანსებული, კარგი ურთიერთობა თურქეთთან და აზერბაიჯანთან, – პასუხობს კითხვას კობახიძე და იქვე დასძინს, რომ აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის დერეფნის გამართული მუშაობა უზინშენლოვანესია ეკონომიკისთვის. ამასთან, საქართველოს ამოცანად განიხილავს ანალიტიკოსი სომხეთისთვის მხარის ირი-

ტყვეები და „შუშის დეკლარაცია“

კობახიძემ სომხები ტყვეების საქართველოსა და აშშ-ის ჩართულობით გათავისუფლების საკითხს რეგიონულ პროცესებში დამატებითი აქტორების შემოყვანისკენ გადადგმულ ნაბიჯად განიხილავს, არ სურთ რა სომხეთსა და აზერბაიჯანს, კონფლიქტში ერთადერთი არბიტრი რუსეთი იყოს, შესაბამისად, ბოლომდე მის კეთილ ნებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. სწორედ ამ კონტექსტს უკავშირებს ანალიტიკოსი ორიოდ დღის წინ ყარაბაღის მეორე კონფლიქტის შემდეგ აზერბაიჯანის კონტროლქვეშ გადასულ შუშაში ერდოღანსა და ალიევს შორის გაფორმებული დეკლარაციის ქვეყნებს შორის სამხედრო, სატრანსპორტო, დიპლომატიური, ეკონომიკური თანამშრომლობისა და მხარდაჭერის კომპონენტები.

კობახიძის ანალიზით, ალიევს, რომელიც დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას ცდილობს და ამის შესაძლებლობას ქვეყნის შიდა რესურსებიც აძლევს, მამისგან (ჰეიდარ ალიევი – რედ.) განსხვავებით, ტერიტორიების დაბრუნების, შესაბამისად, რუსეთის მეგობრული ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ მოუწია მთიან ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების შესვლაზე დათანხმება, რაც აზერბაიჯანზე რუსეთის გავლენას ზრდის. ამდენად, ბაქოს ინტერესია, ანტიაზერბაიჯანული პოზიციის ჩამოყალიბების შემთხვევაში რუსული ფაქტორის დასაბრუნებლად რეგიონში სხვა მოთამაშეებიც (თურქეთი და დასავლეთი) იყვნენ წარმოდგენილები. ამდენად, „შუშის დეკლარაცია“ – ანკარის დეკლარირებული მზაობა სრული სამხედრო ჩართულობის თაობაზე, კობახიძის ხედვით, აზერბაიჯანს რუსეთთან დამოუკიდებლობას უნარჩუნებს.

რაც შეეხება ფაშინინის მოტივაციას, კობახიძე რამდენიმე გარემოებით ხსნის: „ფაშინინმა იცის, რომ რუსეთი არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით მის მხარეს არაა, ამიტომ, მუდმივად აქედნებს ეუთოს მინსკის ფორმატის გაცოცხლების საკითხს. არსებობს ინფორმაცია, რომ ტყვეებთან დაკავშირებით ფაშინინამ ამერიკელების გავლით გაუკეთა ალიევს შეთავაზება, ამ უკანასკნელმაც პოზიტიურად უპასუხა და ეს გზავნილი რუსეთისთვის, რომ „ჩვენ სხვა გზებიც გვაქვს – ამერიკელები, თურქეთი, საქართველო ისევე აქ არიან და შეგვიძლია, სხვა მექანიზმები ავაიმოქმედოთ“. ეს რეგიონისთვისაც უკეთესია – რეგიონის სახელმწიფოს მსგავსი მანერირების შესაძლებლობა აქვთ, შესაბამისად, რუსეთის დომინანტობა არ არის ერთმნიშვნელოვანი“.

მეორე საბითუმო, რისთვის არის მზად დასავლეთი? კობახიძის დაკვირვებით, დასავლელი პარტნიორები, თუ ეს რუსეთთან კონფრონტაციას არ გამოიწვევს, მზად არიან, „შეხილონ“ რეგიონულ მოთამაშეებს, იყვნენ ალტერნატიული მექანიზმის საშუალება, როგორც ეს, მისი ხედვით, ტყვეების ხსენებული ფორმით გაცვლისას მოხდა.

პარტნიორი ნ-ნაპროვან ფორმატზე კვლავ აქცენტირებს

კობახიძემ არ აქვს მოლოდინი, ოფიციალური თბილისისგან გამოითქვას მზაობა ფორმატში მონაწილეობაზე, რომლის მიზანია რეგიონიდან დასავლეთის გ, თანხმდებიან რა მსგავს მდგომარეობაზე რეგიონული აქტორები – რუსეთი, თურქეთი, ირანი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური უსაფრთხოება კი სრულად დასავლეთზეა დამოკიდებული. თუმცა კობახიძე ამ შემთხვე-

ბექა კობახიძე: სამხრესაქროდ, საქართველო „ლოზის“ მეორე – რუსულ მხარეს რჩება!..



ვაში ინტერესთა უცნაურ თანხვედრაზე ამხვილებს ყურადღებას: „თურქეთის და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები, მათ შორის, შავ ზღვაზე, კავკასიაში არ არის ერთმანეთთან თავსებადი. პერიოდულ თანამშრომლობას ახერხებენ, როცა ორივე რეგიონისთვის დასავლეთიდან მოდის არსებითი საფრთხე, ამჟამად მსგავსი საფრთხე არ დგას რუსეთისთვის და არაა განწყობილი, რეგიონში თავისი გავლენა დომინანტია თურქეთის გაუზიაროს. რუსეთი თვლის, რომ თავადაა მთავარი საერთაშორისო აქტორი კავკასიაში და ამ „ექვსმხრივი“ ფორმატის განხორციელებას თავად რუსეთი უშლის ხელს, რაც რაოდენე პარადოქსულიც არ უნდა იყოს, გარკვეულწილად, საქართველოს უსუსტესად ემთხვევა – მსგავსი ფორმატი ძალიან შეასუსტებდა დასავლეთის ყოფნას კავკასიაში“.

იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ფორმატის შექმნისადმი მზაობა ექვსი სახელმწიფოდან სამს – თურქეთს, აზერბაიჯანს და ირანს აქვთ დადასტურებული, კობახიძის ხედვით, მასში საქართველოს იძულებით ჩართვა პლატფორმას სიცოცხლისუნარიანობას ვერ შესძენს, ამიტომ ის სკეპტიკურადაა განწყობილი მისი შექმნის პროცესში აზერბაიჯანისა და თურქეთის წარმატებისადმი.

რაც შეეხება ერდოღანის მხარდაჭერას საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის ჯერ კიდევ არარსებულ ფორმატისადმი, რომლის შესახებაც მან საქართველოს პრემიერის ანკარაში ვიზიტისას ისაუბრა, კობახიძის დაკვირვებით, ერდოღანი ლავირებს: ერთის მხრივ, სიტუაციური მოკავშირე რუსეთის, როდესაც დასავლურ საფრთხეს, როგორც რეჟიმები ერთად უმკლავდებიან, მეორეს მხრივ, არსებობს დაუძლეველი გეოპოლიტიკური ისტორიული წინააღმდეგობები თურქეთსა და რუსეთს შორის. შესაბამისად, თუ საქართველო გამოიყენებულ იქნება „ხიდად“ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, ეს ამცირებს რუსეთის გავლენას აზერბაიჯანზე და რეგიონზეც, რაც თურქეთის ინტერესებთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

„საქართველო არის და იქნება სარწმუნო „ხიდად“ მხარეებს შორის ურთიერთობაში, თუ ისინი რუსეთისგან დისტანცირებას გადაწყვიტენ, როგორც ეს ტყვეების კონტექსტში გააკეთეს“, – ფიქრობს ანალიტიკოსი, მაგრამ ამბობს იმასაც, რომ რუსეთს აზერბაიჯანსა და სომხეთთან მიმართებაში რბილი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ყოველთვის აქვს შანსი, ამ სიტუმიდან საქარ-

ბად დაჭერას, რათა თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა დისტანცია დაიკავოს რუსეთთან: „საქართველოს პლატფორმის შეთავაზება სწორედ რუსეთის პოზიციების შესუსტებას, ხოლო მასთან მიმართებით სომხეთის და აზერბაიჯანის შედარებით დამოუკიდებელ პოზიციონირებას და პროცესში დასავლეთის შემოყვანასაც უჭერს მხარს“.

რაც შეეხება რეგიონში „მეტ დასავლეთს“, პროცესს კობახიძე შემდეგნაირად ხედავს: „მაგალითად, ბაიენი-პუტინის სამიტზე არ უსხენებიათ საქართველო, რასაც შემფოთებით ადგენდნენ თვალს როგორც საქართველოში ოპოზიციურ ფლანგზე, ისე დასავლეთში საქართველოს მხარდაჭერები. მე ამ შემფოთებას ვერ გავიზიარებ, რადგან პრაგმატულად რომ ვთქვათ, ამ შეხვედრაზე საქართველოს ხსენება ფაქტობრივად არაფრის მომტანია. პირაქით, მხოლოდ დეკლარაციები და ვერბალურ დონეზე საუბარი პრაქტიკულ შედეგებს არ იძლევა, მეორეს მხრივ კი იწვევს რუსული პოლიტიკის გააქტიურებას და ამის შედეგად გნებათ 1918-1921, 2000-იანი წლებში ვიხილეთ – რუსეთი მზად აღმოჩნდება ხოლმე, რომ მეტი დააშავოს საქართველოსთვის, ვიდრე დასავლეთში – გააკენთან სომხური რეგიონი – სიუნიკი ამოიღებს. გასული წლის 10 ნოემბრის შეთანხმებით, დერეფანი უნდა გახსნილიყო, აზერბაიჯანმა ინფრასტრუქტურული პროექტები დააანონსა, თუმცა ერევანს სხვა განწყობა აქვს და ადგილზე ვითარება პერიოდულად იცვლება. ალიევი სამხედრო ძალის გამოყენებითაც დაიმუქრა: „რუსეთმა ჩემი ნიტიდან ხევესურეთამდე მოიყვანა გზა იმ იმედით, რომ საქართველოში კიდევ ერთი შესავლელი ექნებოდა, მაგრამ საქართველომ უარი განაცხადა და დღეს ვის ახსობს ეს მინაკვეთი? ანალოგიურად, აზერბაიჯანს შეუძლია, სიუნიკამდე მიიყვანოს გზა, მაგრამ სომხეთს არ აქვს ამგვარი მოტივაცია. თუმცა, განსხვავებით საქართველოსა და რუსეთისგან, სომხეთს დერეფნის გახსნის იურიდიული ვალდებულება აკისრია. იმთავითვე ვამბობდი, რომ ეს ბუნქტი იქნება „ნაღმი“ აზერბაიჯანის მხრიდან შესაძლო სამხედრო აგრესიისთვის და ბერკეტი აზერბაიჯანისა და რუსეთისთვის სომხეთზე მანიპულაციისთვის“.

მართალია, მთიანი ყარაბაღისკენ მოვლენებისგან განსხვავებით, რუსეთს „ოდევაბეს“ (რუსულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსი – კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია) ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის ფორმალური საფუძვლიდან არ აქვს, ეხება რა საქმე სომხეთის რეგიონს და ამ ვალდებულების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება თავდაყირა დააყენებს თავად „ოდევაბეს“ სისტემას, ამიტომაც, ანალიტიკოსი პროგნოზირებს, რომ თუ რუსეთი სომხეთზე აზერბაიჯანის საშუალებით ზეწოლის საჭიროებას დაინა-



დიდი გამოწვევა ბერძენისა და სოფრანგებისთვის

ბერძენის კანცლერისა და საფრანგეთის პრემიერის განცხადებით, რუსეთთან დიალოგის რეჟიმში დარჩენა გადამწყვეტია „ევროკავშირში უსაფრთხოების შესანარჩუნებლად“.

ორი ქვეყნის ლიდერმა, ერთობლივ პრესკონფერენციაზე, ასევე განაცხადა, რომ ევროკავშირში, რუსეთთან და ჩინეთთან დაკავშირებით, გამომწვევების წინაშე დგას.

„რუსეთი დიდი გამოწვევაა ჩვენთვის, მაგრამ ის ასევე, კონტინენტური მეზობელია ევროკავშირისთვის და ჩვენ გვჭირდება, ვიყოთ დარწმუნებული, რომ ყველა პიბრიდული შეტევა შეჩერებულია“, – აღნიშნა ანგელა მერკელმა.

„ჩვენი ინტერესია, გავაგრძელოთ რუსეთთან დიალოგი, თუკი გვსურს უსაფრთხოება და სტაბილურობა ევროკავშირში – რაც არ უნდა რთული იყოს ეს“, – აღნიშნა ემანუელ მაკრონმა.

ირანს ახალი პრეზიდენტი უკავს

ირანის ისლამური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ქვეყნის ახალი პრეზიდენტი მანამდე სასამართლო სისტემის ხელმძღვანელი, ენ. ხისტი პოზიციის მქონე ებრაჰიმ რაისი გახდა.

რაისი საპრეზიდენტო მოვალეობის შესრულებას აგვისტოდან შეუდგება და ჩაანაცვლებს ზომიერი პოზიციის მქონე შაჰსან რუჰანის, რომელსაც მესამე ვადით კენჭისყრის უფლება კონსტიტუციამ არ მისცა.

გაიღანი გლოვობს!



წითელი ზღაპრული და-ნაკარგის შესახებ იწყება. აშშ-ის პრეზიდენტის გერმანული ნაგაზი სახელად ჩემპი გარდაიცვალა.

„გულელები დამძიმებული გვაქვს, რადგან ჩვენი საყვარელი გერმანული ნაგაზი, ჩემპი გარდაიცვალა. ის ჩვენი მუდმივი და სასწრაფო თანამგზავრი იყო ბოლო 13 წლის განმავლობაში და მას თავყვანს სცემდა ბაიდელების მთელი ოჯახი. მაშინაც კი, როდესაც ჩემპს ბოლო თვეებში ძალია ეცლებოდა, როდესაც ოთახში შევიდოდით, ის თავს მაშინვე მაღლა სწევდა, კუდს აქიცინებდა და ყურებსა და მუცელზე მოფერებას გვთხოვდა. სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, მას სურდა ყოფილიყო ჩვენთან ერთად და ყველაფერი მართლაც, უკეთესი იყო. მას არაფერი უყვარდა ისე, როგორც დღის ბოლოს ცეცხლის წინ ჩვენს ფეხებთან ტრიალი, ასევე შეხვედრებზე მშვიდად ყოფნა, ან თეთრი სახლის ბაღში მზებზე სიბილი“, – წერს ჯო ბაიდენი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის „17“ ივნისის №01-01-3/293 ბრძანების შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო ნიადაგის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო ნიადაგის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

Table with 8 columns: N, სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა, საბადო ან გამოვლინება, კატეგორია, ლიცენზიის მოქმედების ვადა, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ³/წელიწადში, საწყისი ფასი (ლარი), ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი). Rows 1-11.

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმუშოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

Table with 2 columns: სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის, პირობები. Rows 1-6.

სპორტი

სარიოზული, საიველოს...



მართალია სპორტული სამყარო შემოფარებულია მას შემდეგ, რაც ბუდაპეშტში გამართული ძიუდოსისტა მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდურ ტურნირში მხრის სერიოზული ტრავმა მიიღო ჩვენმა ოლიმპიურმა იმედმა ლაშა ბეძაძემ.

საზოგადოებრიობის ინტერესის გათვალისწინებით, 20 წლის „ჯვაროსნის“ ჯანმრთელობის მდგომარეობა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა შეაფასა: „კონსილიუმმა გადაწყვიტა, რომ სრულყოფილი სურათის შესაქმნელად ყველანაირი კვლევა საჭიროა, ამიტომ ლაშას მაგნიტო-რეზონანსული და კომპიუტერული ტომოგრაფია ჩაუტარდა.

სპორტი

თითოეული ექიმი მოიბიზნებულება საიმისოდ, რომ ის ტრავმა, რაც სპორტსმენს აქვს, მაქსიმალურად მოკლე დროში მოშუშდეს. დავაკონკრეტებ, რომ დაზიანებულია კუნთი, სახსარი და მყესი, თუმცა ყველაფერი კეთდება, რათა ანთება და შეშუპება სწრაფად ჩაქრეს.

ვიმედოვნებთ, ყველაფერი კარგად წარიმართება და ბექაური სამშობლოს ოლიმპიურ ტოკიოშიც ასახელებს!

სპორტი

სპორტი

უკვე რამდენჯერმე გაუწყეთ, რომ 37 წლის მსოფლიოს ექს-ჩემპიონს გომბიტა არძანიას თითქმის განუდევრებელი პეონდა ტოკიოს საგზური, მაგრამ სომ იცით, ეზმაც არ სძინავს, ამიტომ ჩვენი სახელოვანი კარატისტი ყველა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, მერვე დანის მფლობელის ძახან ბასილიას გადაწყვეტილებით პარიზის საკვალიფიკაციო ტურნირში გამოვიდა, სადაც ოლიმპიურ წონით კატეგორიებში (67, 75 და +75 კგ) პირველ-მესამე ადგილებზე გასულნი იაპონურ თამაშებზე ავტომატურად გაემგზავრებოდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჯვაროსანმა“ საფრანგეთის დედაქალაქშიც შესანიშნავად იასპარეზა და დაუმარცხებლად შეასრულა პროგრამა - მინიმუმში - მძიმეწონისანთა შორის საპატიო კვა-

სპორტი

პარიზიდან - ტოკიოში!

რცხლებების მეორე საფეხურზე ავიდა.

რაც შეეხება მეტოქეებს, ჩვენმა თანამემამულემ ჯერ ბურკინა-ფასოს, ნიდერლანდების, ბელგიის, კოსოვოს (ჯგუფში), ტუნისის (ნახევარფინალში) წარმომადგენლებს სძლია, ხოლო შემდეგ რჩეულთა კვარტეტში ახალი ფორმატით გამართულ ბრძოლაში დაამარცხა კანადელი გასინსკი, ჰოლანდიელ ლერდის კი, ვინც პირველ ეტაპზე 5:0 დაჯაბნა, ამჯერად უქულოდ დაუზავდა.

კახა ბასილია - კარატეს საერთაშორისო ფედერაცია 205 ქვეყნის ათასობით სპორტსმენს აერთიანებს, პარიზში კი მხო-



ლოდ 29 სახელმწიფოს წარგზავნილებმა დაიმსახურეს ოლიმპიადის ლიცენზია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალთა დავითა 3-3 წონაში სულ 30-30 კარატისტი იასპარეზებს და იაპონიის დედაქალაქში ჩვენს სახეობაში ოლიმპიური მედლები პირველად გათამაშდება. დამიჯერეთ - ფანტასტიკაა, რომ გოგითამ სპორტული გმირობით გაიკავა გზა ტოკიოკენ!

საუკუნეთა სიღრმიდან

მანას ილაპიტა!

წოდარ ახალკაცი ქართული ფეხბურთის გიორგი ჭყონდიდელია, დავით ყიფიანი კი - დავით აღმაშენებელი, გვიტონა დიუსელდორფის ტრიუმფიდან რამდენიმე დღეში ლექციაზე მისულებს გერმანიიდან დაბრუნებულმა ისტორიის აღტაცებულმა ლექტორმა დურმიშხან ცინცაქემ, რომელიც „ლომკაცებს“ თან ახლდა.



ამ შედარებისთვის მაშინ ყურადღება არ მიგვიქცევია - მოგეხსენებათ, სტუდენტური ასაკი ხშირად მოვლენა-

თა სწორად შეფასებაში ხელისშემშლელი ფაქტორია, თანაც ყველამ ვიცოდით, რომ სიძველეთა მკვლევარი დიდი მესტროს განუყრელი მეგობარი ბრძანდებოდა და მოსმენილი სუბიექტურ გარემოებად მივიჩინეთ.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, თანდათან, ეტყობა, ჩვენც უფრო გონიერი გავხდით და დღეს უკვე უყოყმანოდ ვეთანხმებით ან განსვენებულ დოცენტს - დიას, დიდგორის ძღვევაი საკვირველის 900-წლოვან და დინამოელთა ტვინის 70-წლოვან იუბილეზე ალაღად ვაღიარებთ: მართალი ყოფილხართ, ძვირფასო მოძღვარო!

სხვათა შორის, თხემით ტერფამდე ქართველ მამულიშვილთან დიდიმის სანქროთელ ბაზასა თუ სხვადასხვა ღონისძიებებზე გამართულმა შეხვედრებმა დამარწმუნა, რომ ამ ფართო დიაპაზონის ინტელექტუალის სახით სამამულო მეცნიერების არაერთმა დარგმა დაკარგა საამაყო ოჯახიშვილობით გამორჩეული მოაზროვნე.

საბედნიეროდ, ერმა შეიძინა მწვანე მინდვრის რაინდი და თაობათა კერპი. მაღლობა ყველაფრისთვის, უკვდავების ბინდარო!

ბია პლატონიშვილი

ევრო - 2020

საუხალალო ფინიშთან

გაგუფური ეტაპის მეორე ტურის ფინიში ის მიჯნა, რომელიც მეტ-ნაკლები დოზით გამოკვეთავს ხოლმე პლეი-ოფში გასასვლელად მეტბოლთა ჭეშმარიტ შანსებს.

გამონაკლისს არც ევრო - 2020-ის სანყის რაუნდი წარმოადგენს, სადაც თითქმის ყველამ შეინარჩუნა წინსვლის პერსპექტივა.

რაც არ უნდა მოულოდნელობა იყოს, ეს ეგრეთ წოდებულ სიკვდილის ჯგუფად მონათლული „ვ“ კვარტეტის უპირობო აუტსაიდერ უნგრეთის ნაკრებზეც ითქმის, რომელმაც, მართალია, სტარტზე კონტინენტის მოქმედ გვირგვინოსან პორტუგალიასთან ბოლომდე ვერ გაძლო, მაგრამ მსოფ-

ლიოს ასევე მოქმედ ჩემპიონ საფრანგეთის გუნდს ძვირფასი ქულები კი დააკარგინა - 1:1. აღსანიშნავია, რომ იტალიელი მწვრთნელის - მარკო როსის ანსამბლს პირველივე ტაიმში დაუშავდა და შესაცვლელი გაუხდა ქარიზმატული ლიდერი სალაი, თუმცა საკადრო სიმუხთლემ მაღიარები კიდევ უფრო გაასაღკლდევა და მრისხანე მეტოქესთან უთანასწორო ბრძოლაში შეუძლებელი შეაძლებინა, რაც ბუდაპეშტის „პუშკაშ არენაზე“ შეკრებილი 70 ათასამდე ქომაგის დამსახურებაც გახლავთ.

არანაკლებ დასაფასებელია კრისტიან ერიქსენის ისტორიით შოკირებულ დანიელთა მიერ მშობლიურ „პარკენზე“ შესვენებამდე დანთებული ცეცხლი და მთლიანად ტურნირის ფავორიტთაგან ბელგიასთან მოგებულ ტაიმი - 1:0. მართალია,



როცა „ძველებს“ დადებანზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ „დ“ ჯგუფში განვითარებული მოვლენები, სადაც შოტლანდიელმა „მამაცმა გულბმა“ ლონდონის „უემბლიზე“ გამართულ სამამულო ომში ძვირფასი ქულა მოიხვეჭეს ის-

ტორიულ მტერ ინგლისთან - 0:0 და ხორვატებთან ჰამლეტისეული დილემის სათავისოდ გადასაჭრელად პლაცდარმი შეიქმნეს.

ეს წერილი „ვ“ ჯგუფის მიმოხილვით დავიწყეთ და ამავე თანავარსკვლავედში დადგმული სპექტაკლიც განსაკუთრებულად უნდა შევამოთ. დაჭრილი მხეცი რომ არ მომკვდარა და ეძინა მხოლოდ, გერმანიამ მოგვაგონა, რომელმაც რონალდუს ადრეული, უკვე 107-ე(!) სანაკრებო ბურთის მიუხედავად პირველ ტაიმში პირენელები ისეთ დღეში ჩააგდო, რომ საკუთარ კარში დიაშსა და გერერიოს ავტოგოლები გაატანინა, საბოლოოდ კი მეტოქის რბევა ევრო - 2020-ის ყველაზე შედეგიანი ანგარიშით დაასრულა - 4:2.

ქობა ამერიკა. I ტური. ბრაზილია - პერუ 4:0, არგენტინა - ურუგვაი 1:0, ჩილე - ბოლივია 1:0.

ფაქტა

დაკაფასოთ და მოკუბოთ!

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამო“ რომ ბაქოს „ნეფთჩის“ შეხვედრა, უკვე ვწერდით. ბუნებრივია, ჯერჯერობით ნადრევია მომავალ ორრაუნდიან ბრძოლაში მეზობელთა და ძველ ნაცნობთა შინსებზე საუბარი, თუმცა უდავოა, რომ საქართველოს 18-გზის ჩემპიონის მეტოქე სათანადო შეფასებას და, უკვე აზერბაიჯანის 9-გზის ჩემპიონის კვალობაზე, დაფასებასაც იმსახურებს.

მართალია, მეგობარ სახელმწიფოში მწვრთნელობისას დინამოელთა დამრიგებლის კახი ცხადაძის ყოფილი შეგირდის, „ნეფთჩის“ 43 წლის თავკაც სამირ აბასოვის გუნდი იაპონელმა ლიდერმა კეისუკე ჰონდამ ბოლო ტიტულის მოპოვებისთანავე დატოვა, მაგრამ სრულფასოვან ლიდერთა სიმცირეს მაინც არ უჩივის.

ლეგიონერებზე საუბრისას ყურადღებას იქცევენ სენეგალელები, პარაგვაელები, ბრაზილიელები, ფრანგები, გან-



საკუთრებით კი - მაროკოელი საბირ ბუგრინი, სერბი ვოსილავ სტანკოვიჩი, აგრეთვე ადგილობრივები - ნამიკ ალესკეროვი და ომარ ბულუდოვი. დავეძენთ, რომ 2006 წელს ცხადაძემ ბოლნისის „სიონში“ მოღვაწეობისას „ბაქის“ სძლია, „ნეფთჩიმ“ კი ორი ქართული კლუბი დაამარცხა.

ოკეანის გაღმა

ევროპის სახელით!

მართალია, ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ჯერჯერობით კონფერენციების პლეი-ოფების ეტაპზეა, მაგრამ რეგულარული სეზონის გათვალისწინებით ნბა-ს სიმბოლური ნაკრებები უკვე გამოვლინდა.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა - საუკეთესოთა ხუთეულში პირველად ერთბაშად სამი ევროპელი მოხვდა!

პირველი ნაკრები - იანის ანტენტოკუნმპო („მილუოკი“, საბერძნეთი. გამოკითხვისას მაქსიმალური - 100 ხმა მიიღო), ნიკოლა იოკიჩი („დენვერი“, სერბეთი, სე-



ზონის MVP-ს 99 ხმა მისცეს), ლუკა დონჩიჩი („დალასი“, სლოვენია), სტეფ კარი („გოლდენ სტეტი“, კავაი ლეონარდი („კლიპერსი“).

მეორე ნაკრები - დემიან ლილარდი („პორტლენდი“), ჯოელ ემბიდი („ფილადელფია“), კრის პოლი („ფინიქსი“), ჯოშუა რენდლი („ნიუ იორკი“), ლებრონ ჯეიმსი („ლეიკერსი“).

მესამე ნაკრები - რუდი გობერი („იუტა“, საფრანგეთი), ჯიმი ბატლერი („მაიამი“), პოლ ჯორჯი („კლიპერსი“), ბრედლი ბილი („ვაშინგტონი“), კაირი ირვინგი („ბრუკლინი“).



რატომ ასვიათ ქალებს შავი სამოსი რუმის პაპთან შეხვედრისას?!

საძმარტოველს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის რომის პაპთან ვიზიტისას, მისმა სამოსის ფერმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია. სალომე ზურაბიშვილი და დედეგაციაში მყოფი სხვა ქალები შეხვედრისას შავ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი. რატომ შავი ფერი და როგორია ვატიკანის დრესკოდი catholic.ge-ის სტატიიდან შეიტყობთ.

ვატიკანში არსებობს პროტოკოლი, სადაც განწერილია, როგორ უნდა იყოს დრესკოდი პაპთან შეხვედრისას. იგი ეხება, როგორც პოლიტიკოსებსა და შოუბიზნესის წარმომადგენლებს, ასევე უბრალოდ მორწმუნეებს.

პროტოკოლი მნიშვნელობას ანიჭებს ტანისამოსის ფერს და კრძალავს ექსტრავაგანტული ფერის სამოსს. ასევე აკრძალულია იასამნისფერი, წითელი და თეთრი ტანისამოსი, თუმცა ეს უკანასკნელი გამონაკლისის სახით დაშვებულია.

პაპთან ოფიციალური ვიზიტისას მიზანშეწონილია ე.წ. Total Black ანუ შავი ტანისამოსი:

- კაცებისთვის შავი ჰიჯაბი, კლასიკური შავი პალსტუხი;
- ქალებისთვის შავი კაბა, მოკრძალებული რაოდენობით სამაუთი. სასურველია, მხოლოდ ყელსაბამი. პროტოკოლი არ ითვალისწინებს, თუმცა სასურველია შეხვედრისას ქალი ატარებდეს შავ თავსაბურავს. ვარცხნილობა მოკრძალებული, გრძელი თმების მქონე ქალებისთვის აუცილებელია აწეული თმა.

ნაკლებად ოფიციალური შეხვედრების დროს, გათვალისწინებულია იგივე წესები, რაც ეკლესიაში:

- ქალებისთვის მუხლსქვემოთ კაბა ან გრძელი შარვალი. იკრძალება ღრმა დეკოლტე; შავი, ანდა მუქი ფერის ფესხაცმელი და წინდა, მცირე ზომის მოკრძალებული ხელჩანთა, ფრჩხილებზე ნატულარული ფერის ან გამჭვირვალე ლაქი.

- მამაკაცებისთვის გრძელი შარვალი, პერანგი ან მხრებდაფარული მაისური.

ვის შეუძლია პრივილეგიით სარგებლობა ვატიკანში ოფიციალური ვიზიტისას?

მსოფლიოში სულ 7 ქალია, რომლებსაც შეუძლიათ პაპთან ოფიციალური ვიზიტის დროს თეთრი კაბით მისვლა. ესენი არიან:

- დედოფალი სოფია - ესპანეთის მეფის, ხუან-კარლოს პირველის მეუღლე.
- ნეაპოლის პრინცესა მარინა - ვიქტორ ემანუელ საბაუდის მეუღლე.
- მონაკოს პრინცესა შარლენ ვიტსტოკი - მონაკოს პრინცის, ალბერტ მეორის მეუღლე.
- ესპანეთის დედოფალი ლეტიცია (ლეტიცია ორტიზ როკასოლანო) - ესპანეთის მეფის, ფილიპ მეექვსე ბურბონის მეუღლე.
- ბელგიის დედოფალი მათილდე (მატილდე დე უდეკემ დ აკოზ) - ბელგიის მეფეიდე დედოფალი 2013 წლის 21 ივლისიდან. ბელგიის მეფის, ფილიპის მეუღლე.
- ბელგიის დედოფალი პაულა (პაულა რუფო დი კალაბრია) - ბელგიის მეექვსე დედოფალი 1993 წლიდან 2013 წლამდე. ბელგიის მეფის, ალბერტ მეორის მეუღლე.
- ლუქსემბურგის პრინცესა მარია ტერეზა მესტერი.

CATHOLICGE

პაპა შუანი „გმირული სათნოების“ აღაიანად შეკაცდა

ვატიკანის განცხადებით, რომის პაპმა ფრანცისკომ დაამტკიცა დეკრეტი, რომლითაც ევროკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელს, რობერტ შუმანს „გმირული სათნოების“ მქონედ აღიარებს.

ტერმინი „გმირული სათნოება“ ნიშნავს, რომ ქრისტიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში განასახიერებდა რწმენის, იმედისა და სიყვარულის სათნოებებს და კათოლიკურ ეკლესიაში ნეტარად აღიარების ერთ-ერთ ეტაპია, ხოლო ნეტარის სტატუსის მინიჭება წმინ-

დანად აღიარების საწყის საქმეთა მინისტრის პოსტზე ეტაპს წარმოადგენს. ალსანიშნავია, რომ 1990 წელს საფრანგეთის ქალაქ მეცის ეპარქიის მრევლმა შუმანის წმინდანად აღიარების მოთხოვნით არაერთი დოკუმენტი გაგზავნა ვატიკანის კანონიზაციის კომისიაში.

რობერტ შუმანი 1886 წელს ლუქსემბურგში დაიბადა. მე-20 საუკუნის 40-50-იან წლებში მას საფრანგეთის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო



ევროპის ეკონომიკური გაერთიანების, ხოლო 1993 წელს ევროკავშირის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი. 50-იან წლებში კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, მან ევროპის ქვეყნებს ქვანახშირისა და რკინის რესურსების გაერთიანება შესთავაზა. მის მიერ წარდგენილი გეგმა „შუმანის დეკლარაციით“ არის ცნობილი, რომელმაც 1957 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების, ხოლო 1993 წელს ევროკავშირის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი.

საქველმოქმედო მსვლელობა ტრაგიკული დასრულდა

აშშ-ში, არიზონას შტატში, ველსიპედისტებს, რომლებიც მსვლელობას აწყობდნენ და თანხას აგროვებდნენ, პიკაპის ტიპის სატვირთო ავტომობილი შეეჯახა და რამდენიმე მათგანს გადაუარა.

პოლიციის ინფორმაციით, მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, თუმცა, მისი იდენტიფიცირება და დაკავება შეძლეს.

ავარიის შემდეგ ექვსი ველსიპედისტი სავადმყოფოში გადაიყვანეს, რომელთაგან ოთხის მდგომარეობა მძიმეა, ხოლო ორის - კრიტიკული, მაგრამ სტაბილური.

სანთელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაუგრძნობს მეცნიერ თანამშრომელს ლელა ამირანაშვილს დღის ქ-ნ

ნონა ამირანაშვილის

გარდაცვალების გამო

668 კოვიდიწვიშიკაპული პასიენტის ელგობარეობა მიიმა

ამ ეტაპზე, საქართველოში, 668 პაციენტის მდგომარეობა მძიმეა. მათ შორის, თბილისში - 302, აჭარაში - 59, იმერეთში - 137. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იმყოფება 183 პირი, მათგან თბილისში - 115, აჭარაში - 12, იმერეთში - 12. 589 ადამიანი მოთავსებულია კლინიკურ სასტუმროებში, მათ შორის 344 - თბილისში, 217 - აჭარაში. 5 596 პირი ვირუსის მკურნალობის კურსს გადის საცხოვრებელ ბინაზე.

საქართველოში სულ კორონავირუსის 358 881 შემთხვევაა დადასტურებული. მათ შორის გამოჯანმრთელდა 344 748, გარდაცვალა 5 160 პაციენტი.

დაპეხაროთ უსრნალისტ

კობა ალხაზაშვილს!



უსრნალისტ კობა ალხაზაშვილს საზოგადოების დახმარება სჭირდება. მისი ჯანმრთელობის გაუარესება პოსტკოვიდურ პერიოდს უკავშირდება. სამკურნალოდ მას თურქეთში გამგზავრება უკვე მეორედ მოუხდა. ბოლო დღეების განმავლობაში მისი მდგომარეობა დაძვინდა. ამჟამად ის რეანიმაციაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება და ძვირადღირებული მკურნალობის კურსის ჩატარება ესაჩიროება.

37 წლის კობა ალხაზაშვილი სწრაფად პროგრესირებდა ავთვისებიან სიმსივნეს უკვე ნახევარი წელია, ებრძვის. პოსტკოვიდურ პერიოდში მას ბრონქის სიმსივნე განუვითარდა, რაც შემდგომ თავის არეულობას და ფილტვებზე გავრცელდა.

დახმარების მსურველებს თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ ანგარიშის ნომრებზე:

„თიბისი ბანკი“ - GE18TB7022745061100103 (მიმღები გვანცა ციმიშტია), „საქართველოს ბანკი“ - GE73BG0000000161978923 (მიმღები თეონა ალხაზაშვილი).

პატიმრობა ემსი წლის ბავშვის ნამეზისთვის!..

ემსი წლის ბავშვის ნამეზის საქმეზე მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბრალდებულებს (დედას და მამას) პატიმრობა შეუფარდა.

მოსამართლე ქეთევან ჯაჭყაძის განცხადებით, მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის საფრთხე არსებობს, ასევე, ჩასატარებელია არაერთი საგამოძიებო მოქმედება. ადვოკატის განცხადებით კი, პატიმრობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

„სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა, ჩვენ დადგინდ ვადებში გაგასაჩივრებთ. მძიმე ბრალდებაა, მაგრამ საქმეში არ არის არც ერთი მტკიცებულება, რომ ბავშვის მიმართ ნამეზის ჰქონდა ადგილი დედის ან მამის მხრიდან. არსებითი განხილვის დროს დაცვის მხარე დადასტურებს მათ უდანაშაულობას.“

ბავშვის ჩვენებას რომ ნახავს ნორმალური ადამიანი, დარწმუნდება იმაში, რომ ეს ბავშვის მიერ გადმოცემული აზრი არ არის. ხუთი წლის ბავშვს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გადმოცეს სამართლებრივად დალაგებულად ინფორმაცია. არ ვიცი, ეს ვის ინტერესში შედგება და რატომ მოხდა ასე, მაგრამ ამას დაცვის მხარე დაადგენს. როგორც სოციალური მუშაკებისგან და მამისგან ვიცი, ბავშვი საკმაოდ ცელქია და ჰქონდა გარკვეული დაზიანებები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მამამ ან დედამ მიაყენა რაიმე სახის დაზიანებები. ხელისუფლების გაკოჭებაზე რა სურათებიც გავრცელდა, ამ სურათების გარდა, სხვა ინფორმაცია ჩვენ არ გავგაჩნია, ამის შემსწრე პირი, მონშე არავინ არ არსებობს. რა მომენტშია ეს გადაღებული, თამაშიდან გამომდინარე არის, თუ რა მოხდა, ეს უნდა დაადგინოს გამოძიებამ, მაგრამ თუნდაც ის ვერსია, რაზეც გამოძიება საუბრობს ნამეზის მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, გამოირიცხავს და რაც შეეხება ძალადობას, თუ გამოიკვებება გარკვეული გარემოებები მტკიცებულებებიდან გამომდინარე, შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ კომენტარი, მაგრამ ახლა ასე თქმა, რომ ძალადობა იყო, ვერ დაგვიდასტურებთ ამ ინფორმაციას“, - განაცხადა ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა მუსრან ლურწკიამ.

ამასთან, პროკურორ ნათია ნოზაძის განცხადებით, ორივე ბრალდებულის მხრიდან არსებობდა მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელშეშლის უკიდურესად მაღალი საფრთხე, ასევე მიმალვის, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, რის გამოც საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და გამოიყენა პატიმრობა.



ყველას რაიმე აქვს სასსოპარი



სწრაფი: უახლოესი ნათესავები – საქართველოს სახალხო არტისტი, რაჭაში სელოვნების აღიარებული რეჟორმატორი გიგა ჯაფარიძე და ონის თეატრალური დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი, უმაღლესი განათლების სისტემის დეველოპერი მუშაკი, თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ამაგდარი თანამშრომელი ლალა დუშუაშვილი დიდი რეჟისორის საიუბილეო საღამოზე.

წვალ ქალბატონ ლალას 80 წელი უსრულდება. ვულოცავთ! ვასული საუკუნის 90-იანი წლები. ფოტო საოჯახო ალბომიდან.

განსაკუთრებული საარქივო დოკუმენტური ფილმები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში ბოლო ერთი წლის მანძილზე 10-მდე საარქივო დოკუმენტური ფილმის ციფრული რესტავრაცია განხორციელდა.

ეროვნული არქივის ცნობით, ფილმებს შორის არის „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“, 1985 წელი; „უამი შეკრებად ქვითა“, 1990 წელი; „თბილისი“, 1939 წელი; „ფიროსმანი“, 1960 წელი; „მღერის რუსთავი“, 1982 წელი; „ჩვენი ნონა“, 1962 წელი და სხვა.

ფილმები ორიგინალი ფორმატიდან 4K გარჩევადობის აპარატურით დასკანერდა, რაც მაღალი დონის ციფრული რესტავრაციის საშუალებას იძლევა. ფილმების ციფრულ ასლს ფერის, გამოსახულებისა და ხმის კორექცია უკეთდება. რესტავრაციას კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური არქივის ბაზაზე გიორგი კაკაბაძე და შალვა მიქუტიშვილი ასორციელებენ.



დანუსდა ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პრემია

თეა ნულუკიანის განცხადებით, კულტურის სამინისტრომ გაიზიარა პოეტ ზურაბ რთველიაშვილის თანამებრძოლი მწერლის, ირაკლი კაკაბაძის ინიციატივა და გადაწყვიტა, კულტურის სამინისტროსა და საერთაშორისო პარტნიორების ხელშეწყობით, საქართველოში ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პერფორმანსის საერთაშორისო ფესტივალი დაფუძნდეს. პირველი ასეთი ფესტივალი წელს, შემოდგომაზე გაიმართება. ფესტივალის პრემია გაიმარჯვებულ ხელოვანს ზურაბ რთველიაშვილის დაბადების დღეს, 16 ოქტომბერს გადაეცემა.

„2012 წლამდე, ზურაბ რთველიაშვილი ლექსითა და პერფორმანსით ებრძოდა უსამართლობასა და ხელისუფლების მიერ ადამიანის წინააღმდეგ სისტემურ დანაშაულებს. ჩვენი ვალია, პატივი მივაგოთ მის ხელოვნებასა და ხსოვნას, და კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ, რომ ხელოვნება ყველა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუშვარცხებელია“, – განაცხადა თეა ნულუკიანმა.

თეა ნულუკიანის თქმით, ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პერფორმანსის საერთაშორისო ფესტივალის საქართველოში დაფუძნება მნიშვნელოვანი სახელოვნებო სიახლეა. მისი მთავარი მიზანია ქართული პერფორმანსის პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით და უცხოელი პერფორმერების შემოქმედების გაცნობა ქართული საზოგადოებისათვის. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მუსიკოსები, მსახიობები, ვიზუალური და მულტიმედია არტისტები და სხვა ხელოვანები, რომლებსაც საშუალება მიეცემათ, წარმოადგინონ პერფორმანსები.

სამი მთავარი ჯილდო ქართულ ფილმს

ლევან კოლუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსზე, „ტრაიბეკას“ საერთაშორისო კინოფესტივალზე სამი მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა.

ნამუშევარმა საუკეთესო ფილმის, საუკეთესო სცენარისა და საუკეთესო მსახიობის (ლევან თედიაშვილი) კატეგორიაში გაიმარჯვა. ფილმი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერითაა შექმნილი. ერთ-ერთ მთავარ როლშია ლევან დარუღლი ქართველი მსახიობი კახი კავსაძე. ფილმის დამდგმელი ოპერატორია ფედონ პაპამიქაელი, რომელიც ორჯერ იყო ნომინირებული „ოსკარზე“, როგორც საუკეთესო კინო ოპერატორი.

„ტრაიბეკას“ კინოფესტივალის ვებგვერდზე ლევან კოლუაშვილის ფილმის „ბრაიტონის 4“-ის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გამოქვეყნდა.

„მეოთხე ბრაიტონი“ ემიგრაციაში ნასული ქართველი მოჭიდავის ისტორიას გვიყვება. ფილმში მთავარ როლს ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის ჩემპიონი ლევან თედიაშვილი ასრულებს.

ყოფილი ჩემპიონი მოჭიდავე კახი (ლევან თე-



დიაშვილი, ყოფილი ოლიმპიელი) ყოველთვის კეთილსინდისიერად ზრუნავს ოჯახზე და ფილმში სახელწოდებით „ბრაიტონის 4“, ეს მას საკონტინენტაშორისო მოგზაურობამდე მიიყვანს. მას შემდეგ, რაც ის მოემზადება ძმის მიერ კაზინოში წაგებული ფულის დასაბრუნებლად, კახი ტოვებს თავის სახლს საქართველოში, რათა მოინახულოს შვილი სოსო (გიორგი ტაბიძე), რომელიც ბრუკლინის შემოგარენში ცხოვრობს. როდესაც კახი პანსიონატში დასახლდება სოსოსთან ერთად, ის შესვდება თანამემამულე ემიგრანტებს და გაიგებს, რომ სოსოსაც აქვს დაგროვილი ვალი 14 000 დოლარი. ეს თანხა მის შვილს ადგილობრივი მაფიის ბოსისთვის (იური ზური) აქვს გადასახდელი და ეს წარმოადგენს დაბრკოლებას სოსოს მომავლისთვის სამედცინო სფეროში.

„ტრაიბეკას“ ფესტივალის მონაწილე მოკლემეტრაჟიანი ფილმების ავტორი ლევან კოლუაშვილი, რომლის ფილმი „ქუჩის დღეები“, წარმოდგენილი იყო საუკეთესო უცხოურენოვან ფილმებს შორის „ოსკარის“ ცერემონიაზე, დაბრუნდა ფესტივალზე ამ მგზობიარე ისტორიით, რომელიც მაყურებელს გადარჩენისთვის ბრძოლის ისტორიას უყვება. ეს ისტორია გაჯერებულია თანაბარი ნილი სერიოზულობითა და ზედამიზნულობით. ოჯახისა და თანამემამულეთა საზოგადოებამ შეიძლება შექმნას დამცავი იმ სამყაროში, რომელიც სულ სხვანაირია, რაც კახის აზრით, კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენს, რათა მან შვილის მომავლისთვის და მეორე შანისთვის იბრძოდეს, – ამბობს ფრანგი კრიტიკოსი ფრედერიკ ბოერი.

ლევან კოლუაშვილი ტიშის ხელოვნების სკოლის კურსდამთავრებულია. მისი სადებიუტო ფილმის „ქუჩის დღეების“ პრემიერა როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა, მისი შემდეგი ფილმი „შემთხვევითი პაემნები“ კი უკვე ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენეს. „ბრაიტონის 4“ კოლუაშვილის მესამე ფილმია.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

შპს ფშაველას №48 ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16;

ალექს ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35 შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 იბეჭდება სტამბა „კოლორი“ ე. ბალდავასის №3

კოდონ ჰაუფი uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საჩუქრადღეობა! რედაქციის მიერ შეუძვეთავი მასალაში დანიშნულია ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმულა, გუდაამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 23 ივნისს

სრ	უსსოური ვალუტის ქარსი:
	აუუ ფოლარი - 3.1681; აპრო - 3.7754;
	ბრიტანული პირაპნა სტერლინგი - 4.4059;
	100 რუბლი - 4.3879; თურქული ლირა - 0.3648;
	აპარაპიჯანული მანათი - 1.8618;
	1000 სოხური ღრამი - 6.1689.

აპინდი 21 ივნისისთვის	
აღმოსავალი	საქართველო:
ბარი -	ლამი +17, ღლე +38
მთიანი რაიონები -	ლამი +12, ღლე +37
დასავალი	საქართველო:
ბარი -	ლამი +17, ღლე +38
მთიანი რაიონები -	ლამი +17, ღლე +36
თბილისი:	ლამი +22, ღლე +36

დაგვიკავით, მოგვწერათ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge